სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 ივლისი 2004 №163 (2184) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო — ეგვიპტე

პირველი დღე 2:0

შენ დაუკა

თბილისში ჩოგბურთმა შემოიარა. საქართველოს ნაკრები ეგვიპტელებს მასპინძლობს დევისის თასის ევროაფრიკული ჯგუფის მეორე დივიზიონში დასარჩენ სერიაში და ჯერ ყველაფერი მშვენივრად მიდის. ჩვენებურმა მეჩოგნეებმა ჩოგბურთი ნაღდად არ შეაძულეს გუშინ ლეილა მესხის აკადემიის კორტებს ბლომად შესეულ ხალხს, ორივე თამაში მოიგეს და სრული კმაყოფილებისთვის დარჩენილი სამიდან ერთის მოგებაც ჰყოფნით. თანაც უმრავლესობამ გუშინ პირველად იხილა დღეს ყველაზე ყოჩაღი ჩვენებური მეჩოგნის ირაკლი ლაბაძის თამაში, რომელიც ცალი ხელით გაუსწორდა მუჰამედ მაამუნს. ცოტა მეტი გარჯა დაახარჯა მეორე მაამუნის, ქერიმის ძლევას ლაბაძის სეხნია ირაკლი უშანგიშვილმა, რომელმაც პირველი სეტის წაგების შემდეგ მიჯრით სამი მოიგო.

დღეს წყვილების თამაშია და თუ ქართველებმა იმარჯვეს, ხვალ ერთეულთა მატჩების გამართვა საჭირო არ გახდება.

DAVIS CUP by BNP PARIBAS

სტამი: მელოტი ბუა კახა კალაძისთვის

გუშინწინ იტალიის ჩემპიონი „მილანი“ ახალი სეზონისთვის შეიკრიბა, თუმც არასრული შემადგენლობით. „შავ-წითლებს“ ევროჩემპიონატმოვლილი ფეხბურთელები აკლიათ, ისინი ჯერ კიდევ ისვენებენ. კარლო ანჩელოტის განკარგულებაში ორი ახალწვეულია — ერნან კრესპო და ვიკაშ დორასო. რა თქმა უნდა, მილანელოშია ჩვენებურიც, კახა კალაძე. გეცოდინებათ, „მილანს“ მესამე ახალიც ჰყავს, ახმახი ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი და, ბუნებრივია, ჩვენ ჩვენისა გვაღელვებს, სტამის მისვლა კალაძის სათადარიგოობას ხომ არ ნიშნავს? ამიტომაც დავურეკეთ გუშინ კახას...

— 15 ივლისს მილანელოში შევიკრიბეთ. განსაკუთრებული არაფერი, ერთმანეთი მოვიკითხეთ და ვარჯიშსაც შევუდექით.

— იმედია, ჯანზე ხარ...

— კი. საბედნიეროდ, არაფერი მჭირს.

— ანჩელოტიმ პირველივე ვარჯიშზე მაგრად დაგტვირთათ?

— ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის: ფიზიკურადაც, ტაქტიკურადაც და ტექნიკურადაც.

— ცხადია, ახალწვეულებმაც ივარჯიშეს, ერნან კრესპომ და ვიკაშ დორასომ. ბუნებრივია, გაიცნობდი.

— ნორმალური, კარგი ბიჭები არიან, მაღალი კლასის ფეხბურთელები. ჯერ ორი დღეა, რაც ვიცნობ, მერე კი ალბათ დავმეგობრდებით.

— ეგ კარგი, მაგრამ ახლა ანჩელოტის ერთ ნათქვამზე გკითხავ. მავან ჟურნალისტს უკითხავს, იაპ სტამი რომ გადაიყვანეთ, სად ათამაშებთო. ანჩელოტის ასე უპასუხია, ცენტრში სტამი-ნესტას დუეტი იქნება, მარცხნივ კი მალდინი გადაიწევსო...

— ვერაფერს ვიტყვი. არ ვიცი, ვინ რა ჰკითხა და მერე რა დაწერა, მე კი ვფიქრობ, პროფესიონალი მწვრთნელი ასეთ განცხადებას წინასწარ არ გააკეთებს.

— ფაქტი კია: ძალიან მძაფრი კონკურენცია გელის...

— ეს ბუნებრივია და არც მიკვირს. „მილანი“ უმაღლესი დონის ფეხბურთელთა კრებულია და ასეც უნდა იყოს. ცხადია, მე ჩემსას აუცილებლად ვეცდები, მერე კი მწვრთნელმა გადაწყვიტოს, ვინ დააყენოს ძირითადში.

— მიუნხენის „ბაიერნი“ რომ იყო შენით დაინტერესებული, ეგ მითქმა-მოთქმა მორჩა?

— ეგრეა. მე „მილანთან“ კონტრაქტი მაქვს და არსად წასვლას არ ვაპირებ. შარშანდელი სეზონი ჩამივარდა, მაგრამ კალაძეს იტალიაში თავისი სათქმელი ბოლომდე არ უთქვამს...

გიორგი ვაშაკიძე

აბა, ტაში უგოლო დემეს

უკრაინის ჩემპიონატი ორი ქართული დებიუტით დაიწყო, თუმცა ვასილ გიგიაძის „ტავრიაში“ თამაშზე მთლად დებიუტიაო, ვერ ვიტყვით: გიგიაძე ხომ შარშანაც თამაშობდა სიმფეროპოლის „ტავრიაში“ და გუნდის კაპიტანიც იყო. ერთი სიტყვით, ელისტური „ურალანიდან“ აბარგებული ქართველი ნახევარმცველი თავის ძველ კლუბს დაუბრუნდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა — „ტავრია“ კი პირველ ტურში სტუმრად ლუცკის „ვოლინთან“ 0:1 დამარცხდა. გიგიაძე და ზურაბ იონანიძე ოდენ გაფრთხილებას გამორჩნენ.

სამაგიეროდ, წაღდი დებიუტი ჰქონდა ლაშა ჯაკობიას. ხარკოვის „მეტალისტის“ ქართველი ახალწვეული გენადი ლიტოვჩენკომ ძირითად შემადგენლობაში დააყენა, თუმც ხარკოველებმა „დნიპროსთან“ 2:4 წააგეს. ჯაკობია მწვრთნელმა 62-ე წუთზე შეცვალა.

2:1 მოუგო კიევურ „ობოლონს“ ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმა“. ჩვენებურებს გოლი არ გაუტანიათ, თუმც გიორგი დემეტრაძემ ჟურნალისტების ყურადღება მაინც მიიქცია — საქმე ისაა, რომ მატჩამდე უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ „დემე“ წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზით დააჯილდოვა.

ძახა შალამბერიძე

გიორგი მიქაძე: პენალტს აღარ დავარტყამ

ზურაბ დოლიძეაშვილის ფოტო

შამქირს იქაც მოვუგებთ

„თბილისმა“ აზერბაიჯანულ „შამქირს“ 1:0 სძლია, თუმც უხვი საგოლე მომენტებიდან ნახევარი მაინც რომ გამოეყენებინა, ფაქტობრივად, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იქნებოდა გასული. ვერგამოყენებელი საგოლე მომენტებიდან კი ყველაზე კარგი შანსი გიორგი მიქაძეს ჰქონდა, ვისაც პენალტი აუღო „შამქირის“ მეკარე მიხეილ იუსიფოვმა

— „თბილისის“ ახალწვეული ხარ და პირველივე ოფიციალურ მატჩში თამამი გადაწყვეტილება მიიღე — 11-მეტრიანი დაარტყი...

— ახალ გუნდში რომ ვარ, სწორედ იმიტომ მინდოდა ძალიან გოლის გატანა, მაგრამ ნერვებმა მიტყუნა, პენალტის დარტყმისას გათიშული ვიყავი. აწი 11-მეტრიანს აღარ დავარტყამ, რაც მოხდა, იმას ძალიან განვიცდი.

— „თბილისის“ ერთადერთი ფორვარდი შენ იყავი და თამაში რომ არ წაგივიდა, ეს იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ წინ მარტო იყავი?

— მე, უბრალოდ, გამოკვეთილი თავდამსხმელი ვიყავი, თორემ ჩემს გარშემო სხვა შემტევებიც იყვნენ — ნახევრადფორვარდები, რომლებიც შეტევაში ჩვეულებრივი ფორვარდებივით თამაშობდნენ.

— სეზონისწინა შეკრებაზე „თბილისი“ თბილისიდან არ გასულა — ამანაც იმოქმედა გუნდზე?

— შეკრებაზე ბევრი ამხანაგური მატჩი ვერ ვითამაშეთ, „შამქირთან“ მატჩისთვის სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა. ეროვნული ჩემპიონატი დაწყებული რომ ყოფლიყო, „შამქირთან“ უფრო კარგად ვითამაშებდით.

— „თბილისის“ მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა თქვა, მიქაძეს კვლავაც ვენდობი და „შამქირთან“ საპასუხო მატჩში ორმაგად უნდა მოინდომოსო...

— ვფიქრობ, გუნდისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შემიძლია. ორისამი მატჩის შემდეგ მეც და მთლიანად გუნდიც უკეთესად ავთამაშდებით, უფრო შევიკვრებით.

— თბილისის „დინამომ“ ბატეესთან ერთობ სოლიდურად ითამაშა — როგორ ფიქრობ, ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოსთან“ მეტოქეობა ძალიან გაგიჭირდებათ?

— შეკრებაზე „დინამომ“ ჩვენგან განსხვავებით ძალიან კარგ გუნდებთან ითამაშა, დინამოელები ჩვენზე ადრე შევიდნენ ოპტიმალურ ფორმაში, დანარჩენი კი ჩემპიონატში გამოჩნდება.

— „შამქირთან“ საპასუხო მატჩზე რას იტყოდი?

— სტუმრად უფრო გაგვიჭირდება თამაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქაც მოვიგებთ. თბილისში მეტოქე მთელი გუნდით საკუთარ საჯარიმოში იდგა, შინ კი ალბათ უფრო გაიხსნება.

დავით თავართქილაძე

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
გიორგი მამარდაშვილს მამის
ვახტანგ მამარდაშვილის
გარდაცვალების გამო

თბილისის „დინამომ“ ბორისოვში ბატე 3:2 დაამარცხა და დიდი შანსი აქვს, უეფას თასის მეორე ეტაპზე გავიდეს. მოგება მით უფრო სასიამოვნოა, რომ დინამოელები 0:2 აგებდნენ.

ამ მატჩში ჩვენებურთაგან თუ [illegible] ერთი ჯაბა კანკავაა. 19 წლის ცენტრალური ნახევარმცველი „დინამოს“ ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო და გამარჯვებაში თავისი წილიც დაიდო.

ჯაბას გუშინ შევეხმიანეთ. ერთი თქმა კი გვითხრა, ინტერვიუ არასოდეს მიმიციაო, მაგრამ მერე გაიხსნა და...

დინამო არ აკანკალებულა

გეგუჩაძემ ბატე გასახდელში გააშიშვლა

— მოედანზე მორცხვი სულაც არ ჩანხარ...

— ეს ფეხბურთია და თუ შეგრცხვა, როგორ ითამაშებ?!

— ბატესთან თამაშზე რას იტყვი?

— შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. ხარისხიც არ დაგვეწუნებოდა, მაგრამ კარგი იქნება, თუ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ. „დინამოს“ გაცილებით მეტი შეუძლია.

— მატჩის წინ მოგებაზე ფიქრობდით?

— პირველი თამაში სტუმრად გვქონდა და კარგი იქნებოდა, ერთ გოლს მაინც თუ გავიტანდით. მერე კი აღმოჩნდა, რომ მოგებაც თავისუფლად შეგვეძლო. ძალიან მიხარია, რომ ბატეზე ძველი ჯავრი ვიყარეთ.

— 0:2 „დინამოს“ ევროთასეებზე არასოდეს ამოუქაჩია...

— თამაში მართლაც ცუდად დაიწყო ჩვენთვის, მაგრამ თანდათან სიტუაცია შეიცვალა და უპირატესობა მოვიპოვეთ. მერე რაც მოხდა, თქვენც იცით.

— შესვენებაზე გია გეგუჩაძემ რა გითხრათ? შეტევაზე გაგაკეთებინათ აქცენტი თუ...

— შეტევაზე გვქონდა აქცენტი თავიდანვე, 4-3-3-ით ვითამაშეთ. ასე რომ, გეგუჩაძისგან გამხნევებაც საკმარისი იყო. გასახდელში პირველი ეს გვითხრა, ამ თამაშს უეჭველად ვიგებთო... საერთოდ, მწვრთნელმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩვენს წარმატებაში.

— თან უაზრო გოლები გაუშვით დროის ძალიან მცირე მონაკვეთში და, როგორც ხდება ხოლმე, გუნდი ასეთ დროს უნდა გამტყდარიყო...

— ჰო, მაგრამ... ბიჭების და მწვრთნელების დამსახურებაა, რომ ასე არ მოხდა. გეგუჩაძეს ისტერიული ნერვიულობა არ ახასიათებს. თან ჩვენც ერთი პლუსი გვქონდა — ერთი გოლიც რომ გაგვეტანა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ვინარჩუნებდით. ასე რომ, ფსიქოლოგიურად საერთოდ არ გაგვჭირვებია.

— ბატესთან თბილისშიც დაძაბულ მატჩს ელი?

— ერთი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ ეტაპზე გასულები ვართ. თბილისშიც უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ძალა.

— ბატე ისეთი გუნდი გამოდგა, როგორსაც ელოდი?

— კარგი გუნდია, მაგრამ ვაჯობებთ. „დინამოზე“ ძლიერი ნაღდად არ არის.

— სამივე ქართულმა გუნდმა ევროთასებზე ბოლოს როდის მოიგო, ძნელი გასახსენებელია. რას მივაწეროთ ეს — სუსტი მოწინააღმდეგეები გყავდათ თუ ჩვენი დონე ამაღლდა?

— შედარებით სუსტი მეტოქეები კი გვყავდა, მაგრამ ჩვენც ნუ დაგვიკარგავთ შრომას, ვფიქრობ, „დინამოც“, „ვიტ ჯორჯიაც“ და „თბილისიც“ შემდეგ ეტაპზე თამაშს იმსახურებენ.

— უეფას თასზე პირველად ითამაშე. თან „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში არცთუ დიდი ხანია, გადაგიყვანეს...

— მართალია, ძირითადში ვთამაშობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი სიტყვა ვთქვი და შემადგენლობაში მყარად ვზივარ. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს დასამტკიცებელი. მწვრთნელი მენდობა და უნდა გავუმართლო.

— უეფას თასზე რას გეგმავთ?

— რა ვიცი... ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბევრი ეტაპი გავიაროთ. რა გამოგვივა, თქვენც ნახავთ.

— ჩემპიონატში ალბათ ჩემპიონობაზე და თასზე ფიქრობთ...

— რა თქმა უნდა. „დინამოს“ სხვანაირად არც ეკადრება.

— და „დინამო“ რომ ახალი გუნდია, არ გაგიჭირდებათ?

— ახალი გუნდი კი ვართ, მაგრამ მაინც რეალური შანსი გვაქვს. ჩემპიონობას და თასს არავის დავუთმობთ.

— კონკურენტებად ვის მიიჩნევ?

— „ვიტ ჯორჯია“ და „თბილისი“ ძალიან კარგი გუნდებია. როგორც გავიგე, „ბათუმიც“ სერიოზული ძალა იქნება. ასე რომ, დაძაბული სეზონი გველის.

ძახა შალამბერიძე

ბაბი ბერიძის ფოტო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ გაზეთის
გამომცემელს ზურაბ ფოცხვერიას სიმამრის
კონსტანტინე გოგელიას
გარდაცვალების გამო

სარბიელელები ვუსამძიმრებთ
ხათუნა და კოტე გოგელიებს მამის
კონსტანტინე გოგელიას
გარდაცვალების გამო

ამხანაგური მატჩები

ბეშძთაში 2:1 მიუნხენი

რიდი 0:1 ბაიერნი

ბრიუგე 1:3 ცრვენა ზვეზდა

ჰოფენჰაიმი 2:0 ფრაიბურგი

არმინია 1:3 ტრაბზონსფორი

ტიროლი 0:5 შტუტგარტი

ჰერტა 2:0 ბრონდბიუ

ლევერკუზენი 2:2 აინტრახტი



სპორტის დიდი მეგობარი ალექსანდრ ლუკაშენკო

მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

იური პუნტუსი ლენინის ძეგლივით დუმდა



ბაბრიე ჯეიმსის ფოტო

დაააა... იური პუნტუსი გია გეგუჩაძის „დინამომ“ ღრმად ჩააფიქრა

ველარც კი ვიხსენებ, ბოლოს თბილისისკენ კარგ ხასიათზე მყოფი როდის მივფრინავდი — ეს ალალი სიტყვები ჰაერში თქვა თბილისის „დინამოს“ მეკარემ ირაკლი ზოიძემ.

პირველი სამი ქულა ავიღე — ეს უკვე ერთი ჩემი კოლეგის სიტყვებია, რომელიც ქართული გუნდების საერთაშორისო მატჩების გასაშუქებლად ხშირად არის ხოლმე უცხოურ მივლინებებში.

ცოლვა გამხელილი სჯობს, თუმც რაღა გამხელა უნდა, თავადაც რამდენიმე მივლინებაში ვყოფილვარ და, საქართველოს ნაკრების 1998 წელს მალტაში მოგებული საერთაშორისო ტურნირის ჩაუთვლელად, ქართული გუნდების გადამკიდე შინ ყოველთვის წაგებული ვბრუნდებოდი. ერთი ხანობა რედაქციაში მივლინებაში ჩემი გაშვებაარგაშვების საკითხიც კი იდგა, აქაოდა, ინასარიძე თარსიაო. მგონი, ბორისოვში, და არა ბორისოვოში, როგორც აქამდე ვწერდი, ნავსი გატყდა და მილივნებაში აწი მეც ფეხბედნიერი ვიქნები.

ახლა კი, საგაზეთო ენაზე რომ ვთქვა, ბელარუსულ შთაბეჭდილებებზე ერთი-ორი სვეტის წერას ვაპირებ და ამ სტრიქონების კითხვისას, იმედია, გაზეთს არ მოისვრით...

* * *

ბორისოვის სტადიონის პრესლოჟაში მჯდომსა და ცაიტნოტში მყოფს რეპორტაჟის წერა თამაშის მიმდინარეობისას მიხდებოდა და მხოლოდ ფაქტების აღწერით ვიყავი შემოფარგლული. საფუძვლიან ანალიზს ვერც ახლა გავაკეთებ ერთი მარტივი მიზეზის გამო, მატჩს ცალი თვალით ვუცქერდი. პროფესიულ საქმიანობაზე რომ არაფერი ვთქვა, პრესლოჟის წინ მაყურებლებს იმხელა ქოლგები ჰქონდათ გაშლილი, ნახევარ მოედანს ფარავდა...

მთავარი ახლავე ვთქვათ — „დინამომ“ ბატეს გადაუარა და მიწასთან გაასწორა. ანგარიში მატჩის მიმდინარეობას ზუსტად ვერ ასახავს, 3:2 ის ანგარიში არაა, რასაც „დინამო“ ბორისოვში იმსახურებდა. ძნელია მტკიცება, მაგრამ მაინც: ჩემი აზრით, ის პირველი, მასპინძელთა მეკარის მიერ თავისი კარიდან დარტყმული და „დინამოს“ კარში გატანილი კურიოზული გოლი რომ არა, თბილისელები მეტოქეს დიდი ანგარიშით დაამარცხებდნენ. მეკარე ჟევნოვის გოლს ბატეს ფსიქოლოგიური უპირატესობა მოჰყვა და აკი მეორე გოლიც მასპინძლებმა ოთხ წუთში გაიტანეს. ეს ოთხი-ექვსი წუთი თუ იყო კიდეც ბატეს თამაში. დანარჩენ დროს კი მოედანზე „დინამო“ დომინირებდა და გატანილ სამ გოლზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენებმა ორი ამდენი ნაღდი მომენტიც გააცუდეს.

მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება მიიღო — სამი თავდამსხმელით ითამაშა. მათგან გამოკვეთილი ფორვარდი ერთი, გონჩაროვი იყო. მას ფლანგებიდან მელქაძე და კაკალაძე ეხმარებოდნენ. როცა ბატეს შეტევა იწყებოდა, ეს ორნი უკვე ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდნენ, ჩვენების იერიშისას კი მელქაძე-კაკალაძე გონჩაროვის მხარდამხარ იყვნენ. პირველ ტაიმში მათ ბურდული შუიდან, კვირკველია მარცხნიდან და შაშიაშვილი მარჯვნიდან ეხმარებოდნენ. საყრდენები კანკავა და კანდელაკი კი მოედნის ცენტრში კედელივით აღმართულიყვნენ, მეტოქის ყველა შეტევას ისინი უმკლავდებოდნენ.

გია გეგუჩაძემ მეტოქეს მართლაც სიურპრიზი შესთავაზა და მოგებული დარჩა. ბატეს თავკაც იური პუნტუსსაც არ გაემტყუნება, ძნელია, იფიქრო, რომ პირველ მატჩში სტუმარი გუნდი სამი ფორვარდით დაგიპირისპირდება.

და კიდევ: ანგარიში 0:2 იყო, როცა გეგუჩაძე სკამიდან წამოხტა და შეგირდებს მკაცრი ტონით შეუძახა — ეს თამაში ჩვენია, მოვიგებთო. მწვრთნელის ასეთი სიტყვები, დამეთანხმებით, ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დიდი ფსიქოლოგიური გავლენაა. მერე ჯაბა კანკავამაც თქვა, გეგუჩაძემ შესვენებაზეც ასე გვითხრა, ძალა შეგვმატა და უფრო თავდაჯერებულად ავთამაშდითო.

მოკლედ, „დინამომ“ ხომ მოიგო და, თავის წილი გია გეგუჩაძემაც უსიტყვოდ მოუგო იური პუნტუსს, რომელიც ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე, აშკარად ჩანდა, შოკში იყო და აკი თავადაც თქვა, სათქმელი არაფერი მაქვს, ამ თამაშის გასაანალიზებლად ორი-სამი დღე მჭირდებაო.

* * *

თუ საბჭოთა კავშირის ნოსტალგია მოგეძალათ, თამამად შეგიძლიათ, თბილის-მინსკის ავია რეისზე ბილეთი აიღოთ და ბელარუსს ესტუმროთ. დედაქალაქზე ვერაფერს გეტყვით, თუმც იმის პირობას კი გაძლევთ, მინსკიდან 60 კილომეტრში მდებარე ბორისოვის ცენტრალურ მოედანზე საბჭოეთის დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლს, თანაც გვირგვინებით შემკულს რომ ნახავთ.

ბელარუსებს ახლა თავისი ლენინიც ჰყავთ, ალექსანდრ ლუკაშენკო, ულვაშგადაწკეპილა პრეზიდენტი, რომლის სახელის ოდნავ უარყოფით კონტექსტში ხსენებულიც კი სასტიკად, 3-10 წლით ვისუფლების ადგილით ისჯება. თუმც ბელარუსები მას ორი რამის გამო ძალიან ემადლიერებიან: ერთი სუპერთანამედროვე გზებია, ორმო რა მოსატანია და, ასფალტს სულ მცირე ბზარიც რომ არ აქვს, ისეთია; და მეორე, სისუფთავე — ქუჩაში სიგარეტის ნამწვს და ასანთის ღერსაც ვერ ნახავ.

ბელარუსი იქაა, სადაც საქართველო 15-20 წლის წინ იყო. მაგალითად, სასტუმრო, სადაც ჩვენ გავჩერდით, 11 საათზე იკეტებოდა; ფოსტაში, ჩვენ რომ ვსარგებლობდით, სხვა გზა არ გვქონდა, ათასნაირი „კვიტანციის“ შევსება გვიხდებოდა თუნდაც ტელეფონით სარგებლობისთვის; სასადილოში ერთი ნოყიერი ვახშამი, სიტყვაზე, კატლეტი პიურეს გარნირითა და კისელით, ჩვენს ფულზე 80 თეთრი ღირდა... მინსკის გარდა, ბელარუსის დანარჩენ ქალაქებში ტელევიზიით მხოლოდ ერთი, ბელარუსის 1 არხის გადაცემებია. ბელარუსში არ არსებობს ცნება — კერძო მესაკუთრე. თუ კი ეს მოისურვე, ჩათვალე, რომ რამდენიმე საათში დაპატიმრებული ხარ.

სამაგიეროდ, ბელარუსში მოსახლეობის 95 პროცენტი დასაქმებული ყოფილა. პენსია 30 დოლარის ექვივალენტურია იქაურ „რუბლ-ზაიჩიკებში“, ოჯახის საშუალო შემოსავალი კი დაახლოებით 150 დოლარია.

აი, მოკლედ ბელარუსის ამბები... თუმც ერთიც და მთავარიც — ბელარუსი ხალხი. ხალხი საოცრად კეთილი, სტუმარზე გადაყოლილი და ქართველების პატივისმცემელი. მაგალითად, ჩვენი სასტუმროს სართულის მორიგე, ტატიანა სერგეევნა, რომელსაც თვალზე ცრემლი მოადგა, როცა ნომრის გასაღები ჩავაბარეთ და დავეშვიდობეთ; მაგალითად, ბორისოვის საქალაქო სტადიონის დირექტორი, რომელმაც თავისიანების დამარცხებისა და უხასიათობის მიუხედავად, ეს სიტყვები გამოგვაყოლა — პერედაიტე პრივეტ ვსემ გრუზინამ, სჩასტია ვამ.

* * *

და კიდევ ერთი წინადადებაც, რომელსაც კი დავიწყებ, მაგრამ ველარ დავამთავრებ: ბელარუსში ქალებია....

ძოგა ინასარიძე
ბორისოვი - თბილისი

კურიოზული გოლი დინამოს კარში: ბატეს მეკარე ჟევნოვმა თავისი საჯარიმოდან დაარტყა, ბურთი „როტეირო“ დინამოს საჯარიმოს ხაზთან დაეცა და ზოიძეს გადააფრინდა

შოთა არველაძე რა მისტერ ბინია, გლაზგოელ ჟურნალისტკებთანაც რომ არ იოხუნჯოს

ჭიქა წითელი ღვინო საქმენი ნაღდი და ცრუ

გლაზგოურმა გაზეთმა „ივნინგ თაიმსმა“ შოთა არველაძეზე არცთუ პატარა წერილი გამოაცხო სათაურით — „მწყობრში ვარ ახალი შოთას დიდებისთვის“, რასაც ფრაგმენტების სახით გთავაზობთ.

ამ ზაფხულში შოთა არველაძეს ორი უახლოესი მეგობარი გამოაკლდა — რონალდ დე ბური და მიხაელ მოლსი „რეინჯერსიდან“ წავიდნენ — ბოლო სამი წლის განმავლობაში არველაძის და დე ბურის ოჯახები შვებულების დროსაც კი არ სცილდებოდნენ ერთმანეთს.

არველაძეს „რეინჯერსთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და კონტრაქტის გაგრძელებისთვის მან უნდა დაამტკიცოს, რომ ჯანმრთელადაა — ოთხი თვის წინ არველაძემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

„ჩემი რამდენიმე მეგობარი „რეინჯერსში“ აღარაა და ისინი ყოველთვის მომენატრებიან. მაგრამ „რეინჯერსში“ ბედნიერი ვარ და იმედია, რომ კლუბიც კმაყოფილია ჩემით. მზად ვარ, სეზონის სტარტიდან ვითამაშო“.

არველაძემ თავისი ბოლო რეინჯერსული მატჩი 6 მარტს ითამაშა „სელტიკთან“ და მას შემდეგ „რეინჯერსის“ ბოსი ალექს მაკლიში სატრანსფერო პერიპეტიებით დაკავდა. შედეგად, გუნდმა ორი ახალი ფორვარდი შეიძინა — დადო პრსო და ნაჩო ნოვო, მაგრამ წინა სეზონში „რეინჯერსის“ მთავარმეგოლე არველაძე გამოწვევისთვის მზადაა: „როცა „რეინჯერსთან“ კონტრაქტს ხელს ვაწერდი, გუნდში ტორე ანდრე ფლო, რონალდ დე ბური, მიხაელ მოლსი და კლაუდიო კანიჯა თამაშობდნენ. რაც შეეხება დამდეგ სეზონს, დარწმუნებული ვარ, რომ ალექს მაკლიშმა იცის, ახლა რისი მაქნისი ვარ. გუნდში რამდენიმე ახალწვეულია და ყველანი ვალდებულნი ვართ, რომ „რეინჯერსი“ უკეთესად ათამაშდეს“.

არველაძემ რამდენჯერმე დაამტკიცა, რომ მას ძალუძს „აიბროქსის“ მწვერვალზე ყოფნა, მაგრამ მას ხშირად ემართება ტრავმები.

„ახლა ჩემი მიზანია, რომ სეზონის დაწყებამდე დარჩენილი დრო სრულად გამოჯანმრთელებისთვის გამოვიყენო. ახალი სეზონი ყველა ფეხბურთელისთვის ახალი სტარტია, ამიტომაც ძალიან მჭირდება სათამაშო პრაქტიკა. ძნელია იმის თქმა, რომ სეზონში ყველა თამაშს ვითამაშებ, შოტლანდიაში ზამთრის შესვენებაც კი არაა. ამ დროისთვის გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებს ფიზიკური კონდიციებით ჩამოვრჩები, თუმც ავსტრიული შეკრების პირველ მატჩში 25 წუთს ალბათ ვითამაშებ“.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები, გასვლითი თამაშები „აბერდინთან“ და „სელტიკთან“ — ასე იწყებს სეზონს „რეინჯერსი“, არველაძე კი იცინის და ამბობს: „გვინდა, კარგად დავიწყოთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ დავამთავრებთ“.

ალექს მაკლიში ძალიან მტკიცე, შეუვალი ვინმეა — ოლიმპიადაზე წასვლისთვის კრეიგ მურს კაპიტნობა ჩამოართვა, რითაც გუნდის დანარჩენი ფეხბურთელები გააფრთხილა, რომ ტოლერანტული არავისთან იქნება. მაკლიში ფეხბურთელებისგან ახლა იმას ითხოვს, რომ ყველა ძარღვი დაძაბონ, რათა „რეინჯერსმა“ ძველი პოზიციები დაიბრუნოს.

ყველაფერ ამაზე კი არველაძეს ასეთი სიტყვა აქვს: „კარგია, როცა არის იმის საშუალება, რომ ძილის წინ ერთი ჭიქა ღვინო დალიო, რათა კარგად დაგეძინოს, მაგრამ მე კარგად ვიცი, რა არის ნაღდი საქმე და რა არის ცრუ“.

ნახევრადკამაზელ ადამიას ლიგის თეორიულ ანსლეს

ჩემპიონა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო მატჩის შემდეგ საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ თავი შემდგომ ეტაპზე დაიგულა. რა სასწაული უნდა მოხდეს, რომ თბილისელებმა ხუთი ბურთის სხვაობით წააგონ და თანაც ისე, რომ თავად ერთიც ვერ გაიტანონ? შემდგომ ეტაპზე კი პოლონური „ვისლაა“ — გაცილებით სერიოზული გამომცდელი.

„ჰაფნართან“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ვიტ ჯორჯიას“ მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა საინტერესო რამ თქვა — საჩემპიონთალიგო განაცხადში გიორგი ადამიაც გვყავს შეყვანილიო...

ამ ამბით ჩვენც დავინტერესდით და ГИОРГИ АДАМИАС გუშინ ნაბერეჟნიე ჩელნიში შევეხმიანეთ

— ორი კვირა, გუნდში ხარ და კონტრაქტის გაფორმებას საშველი არ დაადგა, რატომ აჯანჯლეებენ საქმეს?

— ახლა „კამაზის“ მთავარი მწვრთნელი მოსკოვშია, სამ დღეში ჩამოვა და ყველაფერი მაშინ გაირკვევა, არა მგონია, სპეციალურად აჯანჯლებდნენ კონტრაქტის გაფორმებას. კარგად მექცევიან, ნორმალური ბიჭები არიან. ქალაქიც მომწონს. მოკლედ, სანახევროდ ამ გუნდის ფეხბურთელად შეგიძლიათ ჩამთვალოთ, ქაურობას უკვე შევეჩვიე.

— „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა პრესკონფერენციაზე თქვა, ადამია ჩემპიონთა ლიგის განაცხადში გვყავს შეყვანილი და გამორიცხული არაა, დაგვიბრუნდეს კიდეცო...

— ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „კამაზთან“ კონტრაქტი ჩამეშლება. თბილისიდან რომ მოვდიოდი, „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასთან ყველა საკითხი შევათანხმე და ისიც ვიცი, რომ თეორიულად ჩემი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსიც არსებობს.

— მერე, როგორ ფორმაში ხარ?

— ფიზიკურად ძალიან კარგად ვარ, „ვიტ ჯორჯიასთან“ კი ადაპტაციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— გოცირიძე როგორაა?

— რეზოს რა უჭირს, მისი იმედი აქვთ და სულ იმას ეუბნებიან, გოლების გატანა უნდა დაიწყოო.

დავით ერაძე

შანსია, მერაბ კოჭლაშვილმა გიორგი ადამია ისევ დამოძღვროს

გადრი ჯეილანის ფოტო

ასათიანი ჯერ ვერ მალხაზობს

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველმა ლეგიონერმა მალხაზ ასათიანმა ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურს რუსული პრემიერლიგის მეორე ეტაპის დაწყებისთანავე, მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში კუნთი ასტკივდა და შესაცვლელი შეიქნა. სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ კი ექიმებმა ასათიანს ათდღიანი დასვენება გამოუწერეს.

მალხაზი ჯერჯერობით დატვირთვებს ერიდება, თუმც ვარჯიშისას ფეხს არ შეუწუხებია. ისევე, როგორც მისი ძმაკაცი მარატ იზმაილოვი, რომელიც უკვე რა ხანია, დასტაქრების ხელშია.

რკინგზელი ექიმების თქმით, ასათიანს რამდენიმე დღე კიდევ დასჭირდება სარეაბილიტაციოდ, მერე კი თამაშის ნებასაც დართავენ.



გადრი ჯეილანის ფოტო

უკრაინამ ლვოვი გვითხრა

საქართველოს და უკრაინის ნაკრებთა პირველი მატჩი 13 ოქტომბერს ქალაქ ლვოვში ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინწინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო და უკრაინა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში მეტოქეები არიან. საქართველოსთან მატჩამდე ოთხი დღით ადრე კი ოლეგ ბლოხინის გუნდი კიევში ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს უმასპინძლებს.

კოპა ამერიკა 2004 პერუ (6-25 ივლისი)

მეოთხედფინალი

დღეს და ხვალ კოპაზე მეოთხედფინალური მატჩებია, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული, დაგვეთანხმებით, მექსიკა — ბრაზილიის დაპირისპირება იქნება. პენტაკამპეონები ყოველთვის ფავორიტები არიან და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ბრაზილია უძლიერესებს ათამაშებს თუ მესამე ნაკრებს.

ერთი სიტყვით, ანონსში გუნდების მზადება-განწყობაზე გვინდა გითხრათ, დანარჩენი კი, ცხადია, მინდორზე გამოჩნდება

დღეს

პერუ — არგენტინა

არგენტინა პერუსთვის ემზადება

აუტორის ავტორიტეტი არ აღარდებს

პაულო აუტორი

პერუს ეროვნული გუნდის ბრაზილიელმა მწვრთნელმა პაულო აუტორიმ გუშინ სპორტულ მედიასთან შეხვედრისას თქვა, შაბათს ჩვენი და არგენტინის სამეოთხედფინალო შებმა კოპა ამერიკის წინასწარი ფინალი იქნებაო.

„ეს მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასია“ — ასე დაიწყო აუტორიმ, მერე კი დასძინა, რომ არგენტინელებთან ძალების მოსინჯვას ნახევარფინალში ვარაუდობდა.

„არგენტინის ნაკრების სათამაშო სტილს კარგად ვიცნობ — მარსელო ბიელსას თავისი სამწვრთნელო ტაქტიკა არც ახლა შეუცვლია. მეტოქეს, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვეშინია, მთ არაფერს დავუთმობთ, გულშემატკივარი შესანიშნავ მატჩს იხილავს“ — თქვა ბრაზილიელთა დამრიგებელმა.

პერუ კოპა ამერიკის A ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა, კოლუმბიასთან და ბოლივიასთან ტყუპისცალ ფრეებს (2:2) დაჰყაბულდა, ხოლო ვენესუელა 3:1 დაამარცხა. ამიტომაცაა, პაულო აუტორის არგენტინელებთან ჯახში თავისი შეგირდების შედეგიანობის რომ ეიმედება, თუმც მიგელ რებოსიოს, ალდო ოლკესეს და, უპირველეს ყოვლისა, კლაუდიო პიზაროს ტრავმების გამო ჩემპიონატის მასპინძლებს ბიელსას ბიჭებთან გვარიანი გასაჭირი დაადგებათ და დიდი ოფლისღვრა მოუწევთ.

პრესკონფერენციის დასასრულს, ბრაზილიელმა თავისი გუნდის დაცვის სისუსტეზეც ილაპარაკა, მაგრამ იქვე დაამატა, პერუს ნაკრების კართან მეტოქე გუნდების ხშირი სტუმრობა მცველების დაბალი სათამაშო დონის კი არა, უფრო მათი უყურადღებობის ბრალია, რასაც აუცილებლად გამოვასწორებთო.

ლადო ხომერიკი

კოლუმბია — კოსტა რიკა

შიში ოხერია

კოლუმბიელთა მწვრთნელმა რეინალდო რუედამ გუნდი გააფრთხილა, მეოთხედფინალში მათი მეტოქის, კოსტა რიკას თავკაცი ჟორჟე ლუის პინტო კოლუმბიელია და მან მოწინააღმდეგის შესახებ ყველაფერი იცის.

„პროფესორი პინტო ძალიან საინტერესო მწვრთნელია. ჩვენ ღირსეული მეტოქე გვყავს, რომელიც შესანიშნავი, მცოდნე დამრიგებელით დაიკვეხნის. მათ შანსი არ უნდა მივცეთ. კოსტა რიკას მწვრთნელად გახდომის დღიდან პინტოს კარგი შედეგი აქვს და უნდა ვუფრთხილდეთ“ — განაცხადა რუედამ.

ჟორჟე ლუის პინტო კოსტა რიკას ნაკრების მწვრთნელად კოპა ამერიკას დაწყებამდე სამი კვირით ადრე დანიშნეს. მან ამერიკელი სტივ სემპსონი შეცვალა, რომლის ხელშიც კოსტა რიკამ კუბასთან მარცხი იწვნია.

ვაჟა ხუციშვილი

ხვალ

მექსიკა — ბრაზილია

ბრაზილია მთიდან ბარში დაეშვა

პარაგვაისთან მარცხის შემდეგ ბრაზილია არეკიპადან 2000 კილომეტრის მოშორებით, პერუს ჩრდილოეთში, ქალაქ პიურაში გაემგზავრა და მეოთხედფინალურ მატჩს მექსიკასთან იქ გამართავს.

პენტაკამპეონებს უხარიათ, რომ არეკიპას მაღალმთიანი რაიონიდან ზღვის დონეზე დაეშვნენ.

„მთიდან ზღვის დონეზე დაშვება განსაკუთრებით სასიამოვნოა. აქ თავს უკეთესად ვგრძნობთ. ყველა ფეხბურთელი გაცილებით უკეთესად ითამაშებს და ბურთიც სხვანაირად იფრენს“ — თქვა რენატომ, ხოლო ფელიპემ დაამატა: „მაღლიდან დაბლა დაშვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

ზოგი ბრაზილიელის აზრით, მექსიკასთან შეხვედრას ურუგვაისთან თამაში სჯობდა. „მექსიკა მეტად ძლიერი გუნდია, პირველ ადგილზე უნდა გავსულიყავით და ურუგვაის შევხვდებოდით“ — განაცხადა ედუმ.

ალექსმა კი მოკლედ მოჭრა: „მექსიკა გაცილებით ტექნიკურია, ვიდრე ურუგვაი“.

ბრაზილიელი ედუ გულში მექსიკას ეთამაშება

მექსიკელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ბრაზილიას შეუტევს და მეტოქის ტაქტიკაზე აწყობას არ აპირებს.

გამოუშვით ბრაზილია: ლავოლპე დიდ გულზეა

„ჩვენ ხეირი შეტევაში უნდა ვეძებოთ. საკუთარი საჯარიმოს დაცვა არაფერს გვარგებს“ — აღნიშნა ლავოლპემ.

მექსიკის ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, რადგან არგენტინას მოუგო.

„მექსიკურმა მედიამ დაცვითი ტაქტიკის გამო გამაკრიტიკა, ამიტომ სხვა გზა არ მაქვს. ბრაზილიელების მათსავე ნახევარზე მოხრჩობას და იქვე შეტევას ვაპირებთ. მსოფლიოს ჩემპიონებს ყოველთვის მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ. გამორიცხულია, რომ ბრაზილიელების სისუსტეზე ვილაპარაკო“.

რიკარდო ლავოლპემ, რომელიც მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონთა სათადარიგო მეკარე იყო, აღნიშნა, რომ ნახევარმცველი რამონ მორალესი და მცველი რიკარდო ოსორიო ტრავმირებულნი არიან, მაგრამ, ექიმების თქმით, სამეოთხედფინალოდ ორივე ჯანზე იქნება.

ვაჟა ხუციშვილი

პარაგვაი — ურუგვაი

პაოლო მონტერროს დაბრუნება ჩაუშფარდა

ურუგვაელთა კაპიტანმა პაოლო მონტერომ ორი წლის წინ სანაკრებო კარიერის დასრულების თაობაზე განაცხადა, მაგრამ გასულ გაზაფხულს გადაწყვეტილება შეცვალა და ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა.

პაოლო მონტერომ კოპა ამერიკის ორ მატჩში ითამაშა და ორი ყვითელი ბარათი და ტრავმა მიიღო. ჯგუფში მესამე შეხვედრა არგენტინასთან დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მაგრამ მეოთხედფინალში საზარდულის ტკივილით შეწუხებული თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება.



„მონტერო ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მასზე დამოკიდებულნი ვერ ვიქნებით“ — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ჟორჟე ფოსატიმ, რომელიც სამი დღის წინ იმედოვნებდა, რომ მონტერო ურუგვაის მეოთხედფინალში დაეხმარებოდა.

პაოლო მონტერომ მექსიკასთან პირველ ტურში მეორე, გამთანაბრებელი შეაგდო, ხოლო ეკვადორთან (2:1) მოგებულ შეხვედრაში 50-ე სანაკრებო მატჩი მიითვალა.

ჟორჟე ფოსატის მონტეროს შემცვლელად ალეხანდრო ლაგო შეუგულებია.

ვაჟა ხუციშვილი

სილეკსი — მარიბორი. ანდრეი კვაშმა გამარჯვებისა შეაგდო

უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP | საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები UEFA CUP

შირაქი (სომხეთი)	1:2	ტირასპოლი (მოლდოვა)
ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი)	3:0	ყარაბახი (აზერბაიჯანი)
ეკრანასი (ლიტვა)	1:0	დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
ჰაკა (ფინეთი)	2:1	ეტცელა (ლუქსემბურგი)
ლევადია (ესტონეთი)	0:0	ბოჰემიანსი (ირლანდია)
ნისტრუ (მოლდოვა)	1:1	შახტიორი (ბელარუსი)
პარტიზანი (ალბანეთი)	4:2	ბირკირკარა (მალტა)
ილიჩევეცი (უკრაინა)	2:0	ბანანცი (სომხეთი)
ოცელული (რუმინეთი)	4:0	დინამო (ალბანეთი)
იოსტერსი (შვედეთი)	2:0	ლანსანტფრეიდი (უელსი)
ომონია (კვიპროსი)	4:0	სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია)
სანტა კოლომა (ანდორა)	0:1	მოდრიცა (ბოსნია)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)	1:0	ლონგფორდი (ირლანდია)
სილეკსი (მაკედონია)	0:1	მარიბორი (სლოვენია)
ბ-68 ტოფტირი (ფარერები)	0:3	ვენტსპილსი (ლატვია)
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)	2:2	ჟალგირისი (ლიტვა)
ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები)	1:3	მეტალურგსი (ლატვია)
მარსაშლოკი (მალტა)	0:1	პრიმორიე (სლოვენია)
ფორდვესტი (უელსი)	0:1	ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
პენაროსა (სან მარინო)	1:5	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	2:2	ალიანსი (ფინეთი)
აკრანესი (ისლანდია)	4:2	ტვმკ (ესტონეთი)

მარშასლოკი — პრიმორიე. ერთი გამარჯვებულთაგან: მიტია ზატკოვიჩი (მარჯვნივ)

ზოგმა გაარკვია, ზოგი მერე გაარკვევს

ჩემპიონთა ლიგას მისი „უმცროსი ძმა“ უეფას თასიც ამოუდგა გვერდით, ანუ წლევანდელი ევროსეზონი გუშინწინ სრულად დაიწყო.

მოლდოვურმა „ტირასპოლმა“ ერევანში „შირაქს“ აჯობა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმაო ფორა დაიბევა.

შეხვედრა ახალდაწყებული იყო, სტუმრები რომ დაწინაურდნენ. „ტირასპოლმა“ პირველივე კონტრშეტევაზე იხეირა — ნიკოლაი ჟორპმა „შირაქის“ საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კარის ცხრიანში ჩაახვია.

პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა გაზარდეს. სომეხმა მცველმა არტაკ ადამინმა ბურთი ხელით მოიგერია, რისთვისაც პენალტი დანიშნა. რუსლან ბრბურიშმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო უნაკლოდ შეასრულა.

მასპინძლებმა საგოლე მომენტებიდან მხოლოდ მეორე ტაიმში მოპოვებული პენალტით იხეირეს. ტიგრან ოგანესიანი მეტოქის საჯარიმოში წააქციეს. თერთმეტი მეტრიდან დარტყმა დავითიანმა შეასრულა, მაგრამ მეკარემ აუღო, თუმც მსაჯმა გაამეორებინა და დავითიანმა ამჯერად უკვე ივარგა.

„ჩვენ წაგების უფლება არ გვქონდა — ბრაზობდა სომხური გუნდის მწვრთნელი ანდრანიკ ადამინი — შეიძლება შინაურ ჩემპიონატში ცუდად ვთამაშობთ, მაგრამ ამ შეხვედრაში ვალდებულნი ვიყავით მოგვეგო“.

ლიტვურმა „ეკრანასმა“ ევროთასებზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბალტიისპირულმა გუნდმა ლუქსემბურგის „დუდელანჟი“ დაამარცხა.

მინდაუგას გარდჟიაუსკასმა ტაიმის ბოლოს პოვილას ლუკშისის პასით თხუთმეტი მეტრიდან ზუსტად გაისროლა და ანგარიში გახსნა. მანამდე კი სტუმარმა მაეს ჰუგსმა აშკარა საგოლე მომენტი გააცუდა.

მეორე ნახევარში „ეკრანასი“ უტევდა. ბანივიჩესმა და ლუკშისმა ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს. 78-ე წუთზე ლუკშისმა კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ბოლოს „დუდელანჟი“ მასპინძელთა კარს მიაწყდა. სებასტიან რემის დარტყმული ცხრიანიდან მეკარე არვიდას სკრუპსკისმა გამოაძრო. მერე სტუმრება ზედიზედ სამი კუთხური ამაოდ ჩააწოდეს.

„პირველი ევროგამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ თამაშით და შედეგით კმაყოფილი არ ვარ — თქვა „ეკრანისის“ თავკაცმა ვირგინიუს ლიუბშისმა — განსაკუთრებით პირველი ტაიმი არ მომეწონა. კომბინაციური თამაში არ გამოგვივიდა, საყრდენი ნახევარმცველი კი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა“.

„დუდელანჟის“ მწვრთნელ მიშელ ლე ფლოშმოანის აზრით, ამ სხვაობის გაბათილება ლუქსემბურგში სავსებით შესაძლებელია.

ლიხტენშტაინურმა „ვადუცმა“ 21-ე ევროპულ ცდაზე შეძლო პირველი გამარჯვების მოპოვება. შეცვლაზე შესულმა დანიელ ჰასლესმა გაიტანა გოლი და ირლანდიური „ლონგფორდი“ დაამარცხა.

მატჩის განმავლობაში მეტოქეთა კართან აშკარა საგოლე მომენტები არ შექმნილა და შეხვედრაც უგოლო დასასრულისკენ მიექანებოდა, მაგრამ...

მასპინძლები პირველ ტაიმში უფრო ფხიანნი გამოდგნენ, სტუმრებმა კი შესვენების შემდეგ გამოიღეს ხელი, თუმც ერთი კონტრშეტევა გაეპარათ და ვადუცელებმაც ამიტომ დასაჯეს.

ბოსნიურმა „ჟელეზნიჩარმა“ სან მარინოში გაისეირნა: ხუთი გოლი გაუტანა იქაურებს, ერთი გაუშვა და შინ მშვიდობიანად დაბრუნდა.

სტუმრები მატჩის დაწყებიდან ბოლომდე ბატონობდნენ.

ალენ კურცის პასით ანგარიში მეათე წუთზე ალმირ გრედისმა გახსნა.

აქედან ხუთ წუთში მსგავსმა კომბინაციამ მეორედ გაამართლა და ადმირ რაშჩისმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

ემირ ჰაჯიჩისა და მუარებოვიჩის წამოწყებული შეტევა მატეო ზავოლიმ ზუსტი დარტყმით დაასრულა — 3:0.

სან მარინოს „პენაროსა“ რაღაცას კი ფაფხურობდა, მაგრამ მეოთხე გოლი უმალ გაუშვა. დენის კარიჩმა საჯარიმოს ხაზიდან ბურთი ბადეში შეჭედა.

შესვენების შემდეგ ვრსავიჩმა მასპინძლებს მეხუთე მიართვა, ხოლო „პენაროსას“ მაროკოელმა თავდამსხმელა მოჰამედ ზაბულიმ თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე გაქვითა ერთი ბურთი.

ბოსნიის თასის მფლობელმა „მოდრიცამ“ უსუსტეს ანდორულ „სანტა კოლომას“ მხოლოდ ერთი გოლი აკმარა.

პირველ ტაიმში დამხვდურთა მეკარე რიკარდო ფერნანდესმა სტუმართა რამდენიმე შეტევა მოიგერია, შესვენების შემდეგ კი „სანტა კოლომას“ კარის ჩარჩოს ბურთი არაერთხელ მოხვდა, სანამ სრეტენ ვასიჩმა კარგად არ დაუმიზნა. სწორედ მის დარტყმული ბურთი შევარდა ანდორელთა კარში.

სლოვენიურ „პრიმორიეს“ კი მალტაში, „მარსაშლოკთან“ გაუჭირდა. სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულს გორან იოლიჩის გოლით იმარჯვეს.

სლოვენიელები 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ კლასით დაბალ მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოარგეს მათ კარს გასაღები. „პრიმორიეს“ შინ მოწინააღმდეგის გაბითურება საპასუხო შეხვედრაში არ უნდა გაუჭირდეს.

სლოვენიის უფრო სახელოვანი გუნდი „მარიბორი“, რომელსაც ივო შუშაკის თავკაცობით ჩემპიონთა ლიგაში კი უთამაშია, მეზობელ მაკედონიას ეწვია და იქაური „სილეკსი“ კინკილა გოლით დაამარცხა.

დომინიკ ბერშნიაკის პასით ანდრეი კვაშმა პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში გახსნა და ამის შემდეგ სტუმრებს სასურველი შედეგის შენარჩუნება მოახერხეს.

მაკედონიელებს შესვენებამდე სამი კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ფორვარდთა უხეირობის გამო ვერ გამოიყენეს.

„ჰაკასა“ და ლუქსემბურგის „ეტცელას“ შეხვედრის დაწყებიდან 25 წუთში სამი გოლი გავიდა და მერე არაფერი შეცვლილა.

„ჰაკას“ რუსმა ლეგიონერმა სერგეი ტერეხოვმა მეოთხე წუთზე მიკა ნენონენი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ფორვარდმაც შანსი გამოიყენა.

ნენონენმა თვისტომ თანაგუნდელ ტომი ტორკელისაც არ აწყენინა და მე-9 წუთზე მისი პასით მასპინძლები უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ.

„ეტცელამ“ შესვენებამდე ერთის გაქვითვა მოახერხა.

მერე მიკო ვილმუნენმა პატრიკ გრეტნჩი საჯარიმოში წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც წაქცეულმა თავადვე გამოიყენა.

შესვენებამდე წუთით ადრე „ჰაკას“ ცენტრალური მცველი იანე სალი მეტოქის უკნიდან წაქცევისთვის გააძევეს და ლუქსემბურგელებმა 45 წუთის განმავლობაში კაცმეტობა ვერ შეირგეს.

დამხვდურთა მწვრთნელმა ოლი ჰუტუნენმა თქვა: „შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან მეორე ტაიმში კაცნაკლულნი ვიყავით, მაგრამ იმავდროულად პირველ ნახევარში ბევრჯერ შევცოდეთ. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ მომდევნო ეტაპზე გავალთ“.

კვიპროსის „ომონიმ“ მაკედონიის „სლოგა იუგომაგნატი“ გაანადგურა. დამხვდურები ტაიმის ბოლოს ელიას ხარალამბუსის წყალობით დაწინაურდნენ. შესვენების მერე იოზეფ კოზლეის თავურით კვიპროსელმა მეორედ გაიხარეს. „ომონიამ“ ამის შემდეგ ცოტა ხნით დაისვენა, შეხვედრის დასასრულს კი გააქტიურდა და ყმაწვილმა ფორვარდმა ანდონიუს მარკოსმა რვა წუთში დუბლი მიითვალა.

ვაჟა ხუციშვილი

REUTERS ტირანიდან

პარტიზანი — ბირკირკარა. მასპინძელი ჰენრი ნდრეკა სტუმარს გაექცა

დაბრუნება!

ცუდი პირველი და დიდი მეორე

„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი კმაყოფილია იმით, რომ „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი კარლუშ კეირუში „ოლდ ტრეფორდზე“ ალექს ფერგიუსონის ასისტენტად დაბრუნდა. გილი მიიჩნევს, რომ ამიერიდან მანჩესტერელთა პორტუგალიელი გარემარბი კრისტიანო რონალდო ერთიორად გაყოჩაღდება.

კარლუშ კეირუში მანჩესტერმა ხალისით მიიღო

კეირუშის დაბრუნება, ბუნებრივია, ალექს ფერგიუსონის ინიციატივა და დამსახურებაა. რამდენადაც პორტუგალიელმა მწვრთნელმა „რეალის“ ერთპიროვნულ ხელმძღვანელად ვერ ივარგა, იმდენად მოსწონს სერ ალექსს იგი თავის თანაშემწედ „იუნაიტედში“.

გილი: „კარლუშ კეირუშის დაბრუნება ძალიან გვახარებს. ალექსი ხომ საერთოდ, სიხარულისგან უკვე მთვარეზეა, რადგან ამ ყველაფერს დიდი პრაქტიკული ფასეულობა აქვს. მომავალ სეზონში კარლუშის ჩვენთან საქმიანობით ფეხბურთელებიც მოიგებენ და მწვრთნელებიც. ჯერ ერთი, მას, როგორც პედაგოგს, ევროპული, კონტინენტური ფეხბურთის ცოდნა და სურნელი დაქვს, მეორეც, იგი ოთხ ენაზე ლაპარაკობს.

მისი დაბრუნება განსაკუთრებით კრისტიანო რონალდოს გამოადგება. შეხედეთ მას. იგი მხოლოდ 19 წლისაა, პირველი სეზონი მართლაც ფანტასტიკური ჰქონდა და მწამს, თანამემამულე მწვრთნელის მხარდაჭერით მეორე სეზონი კიდევ უფრო ფანტასტიკური ექნება.

გარდა ამისა, მე ველაპარაკე რუუდ ვან ნისტელროის, რომელიც ასევე გახარებული იყო. მას თავის დროზე ძალიან დაეხმარა კარლუში. ის რომ არა, ალექსი მთელ ევროპაში უკვე ყველას ეკითხებოდა, ხომ არ იცოდნენ ნამდვილი მარჯვენა ხელის ასავალ-დასავალი“.

პაპუნა კედია

„ინტერი“ ახალ რობერტო ბაჯოდ წოდებულ რიკარდო მონტოლივოს გადაბირებას ცდილობს. მონტოლივო 19 წლისაა და ლეისთვის „ატალანტაში“ ითამაშებს. იგი 19 წლამდელი „აძურას“ მთავარი ფეხბურთელია, ამპლუით შემტევი ნახევარმცველი.

ახალი ბაჯო და მიზნები

ხუან სებასტიან ვერონს დიდი ინტერესი ამჩიენები აქვს

და რას ცვლიან შავ-ლურჯები ახალ ბაჯოში? ისინი ბერგამოელებს თავდამსხმელი ნიკოლა ვენტოლას სთავაზობენ და თან... მონტოლივოს დღესვე არ ითხოვენ.

ვენტოლა, რომელიც წინა სეზონში „ინტერს“ „სიენაში“ ჰყავდა გაქირავებული, საეჭვოა, ამ სეზონში მაინც გახდეს მილანური გრანდის სრულყოფილი წევრი, „ატალანტაში“ კი კი უთამაშია, 2000-01 წლების სეზონში გამოდიოდა ბერგამოს გუნდში.

ეს რაც შეეხებოდა ახალ ბაჯოს, ახლა კი ახალ ტიტულებს რაც შეეხება: იუგოსლავიელი დეიან სტოიაკოვიჩი აცხადებს, რომ მოახლოებულ სეზონში „ინტერი“ დიდ სიმაღლეებს შეეთამაშება.

„კლუბმა ქომაგებს რამდენიმე დიდებული ტრანსფერ-საჩუქარი უძღვნა. ჩვენ უკლებლივ ყველა რგოლში გავძლიერდით, ყველაზე მეტად კი ნახევარდაცვაში“ — განაცხადა „ლაციოდან“ მილანში წინა სეზონის შუაში გადასულმა ვარსკვლავმა.

იგი მართალია. „ინტერმა“ ნახევარდაცვაში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი ედგარ დავიდსი და არანაკლებ ცნობილი არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი შეიმატა.

„ვერონს ძალიან უნდა, გამორჩევით კარგად ითამაშოს. იგი საგანგებოდ არის მოტივირებული — განმარტა სერბმა, — მას სურს „ინტერის“ წამყვან ფეხბურთელად იქცეს. დავიდსზე კი რა გითხრათ, ის მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. მოკლედ, თუ რამ არის წარმატებისთვის საჭირო, ყველაფერი გვაქვს“.

პაპუნა კედია

მარკო დი ვაიო „ვალენსიას“ ძალიან უნდა

ესპანეთის იტალიური ჩემპიონი

ესპანური „ვალენსია“ „იუვენტუსთან“ მარკო დი ვაიოს თამაშზე აპირებს ლაპარაკს. როგორც ამბობენ, ამ საქმისთვის ესპანეთის ჩემპიონს 14-15 მილიონი დოლარი აქვს გადადებული, ხოლო „ბებერი ქალბატონი“ წინაღმდეგი არ უნდა იყოს.

მოგეხსენებათ, დი ვაიოს „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული სულაც არ აქვს. იმასაც ამბობდნენ, რომ მის ყიდვას აქამდე „ინტერი“ აპირებდა — თითქოს დი ვაიო იმ გარიგების ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომლის თანახმადაც ფაბიო კანავარო მილანიდან უნდა აიყაროს და ტურინში გადაბარგდეს.

მოულოდნელი და დაუჯერებელი კი ამ ისტორიაში არაფერია, რადგან „ვალენსია“ ამ ზაფხულს იტალიური ორიენტაციის გუნდი გახდა. მან „ლაციოსგან“ სტეფანო ფიორესა და ბერნარდო კორადის წყვილი შეიძინა, ხოლო მწვრთნელად (მას მერე, რაც ტრიუმფატორი რაფა ბენიტესი ინგლისში, კერძოდ „ლივერპულში“ წაუვიდა) „ჩელსიდან“ გამოშვებული კლაუდიო რანიერი მიიყვნა.

ასე და ამგვარად, თუ „ვალენსიასა“ და „იუვენტუსს“ შორის გარიგება შედგება, რანიერის საშუალება მიეცემა, თავდასხმაში კორადისა და დი ვაიოს დუეტი ათამაშოს.

პაპუნა კედია

არ ნაანობს ერნანი

ერნან კრესპოს კარლო ანჩელოტი იმედით შეჰყურებს

„მილანში“ კვლავ არგენტინელი ფორვარდის, ერნან კრესპოს „ჩელსიდან“ გადაყვანის თემას განიხილავენ. ყველაზე აქტუალური კი დაგროვილ თავდამსხმელთა პრობლემაა. ოთხივე შავ-წითელი ფორვარდი მეტად მქუხარე სახელიანია საიმისოდ, რომ მესამე და მეოთხე თავდამსხმელად მოიხსენიებოდეს და განიხილებოდეს. შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია ანდრეი შევჩენკოზე, ფილიპო ინძაგიზე, იონ დალ ტომასონსა და ერნან კრესპოზე.

„მე გადასვლას არ ვნანობ და კონკურენციის არ მეშინია — განაცხადა მილანში ჩასულმა კრესპომ — პირიქით, ეს კონკურენცია, ფაქტობრივად, სტიმული გამოდის. მე პირადად ყველა ღონეს ვიხმარ, „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში რომ მოვხვდე და გუნდს გამარჯვებებში დავეხმარო“.

მეორე მხრივ, ბევრ ქომაგს შესაძლოა, კითხვა გაუჩნდეს, რა საჭიროა ოთხი ფორვარდი, მით უფრო, ასეთი კლასის, მაშინ, როდესაც არა ერთი და ორი და არცთუ ცუდი გუნდი გაცილებით დაბალი კვალიფიკაციის თავდამსხმელებით თამაშობს და ასეთებიც კი ოთხი სულაც არ ჰყავს.

„ოთხი თავდამსხმელის ყოლა აუცილებელია — განმარტა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — წინ მეტად საქმიანი, დატვირთული სეზონი გველის. ნუ დავივიწყებთ, რომ სერია A-ში გუნდების რაოდენობა გაიზარდა და ოთხი კალენდარული შეხვედრით მეტი მოგვიწევს“.

„არა მგონია, ზედმეტი თავდამსხმელი გვყავდეს გუნდში — დასძინა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — მე კრესპოს კარგად ვიცნობ და შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ ის ძალიან გამოგვადგება“.

აზრი გამოათქმევინეს უკრაინელ ვარსკვლავს ანდრეი შევჩენკოსაც: „კრესპოს შემატებით, ბუნებრივია, გავძლიერდებით და მიზანთან, ყველაფრის მოგებასთან უფრო ახლოს ვიქნებით. ახლა ჩვენ მართლაც შეგვიძლია ყველაფრის მოგება. ჩვენი გუნდი ყველა რგოლში შეკრულია“.

მოგეხსენებათ, კრესპო „ჩელსიმ“ ერთი წლით მიაქირავა „შავ-წითლებს“.

„ბედნიერი ვარ, „მილანში“ რომ ჩამოვედი — თქვა არგენტინელმა თავდამსხმელმა — და ძალიან მეამაყება, ასეთი დიადი კლუბი ჩემი ყიდვით რომ დაინტერესდა. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ კვლავ ანჩელოტისთან ვითანამშრომლებ. ჩვენ ადრე „პარმაში“ ვიყავით ერთად. ერთი სიტყვით, დიდებულ გუნდში მოვხვდი, რომელსაც დიდი ჯილდოების მოგება აქვს მიზნად დასახული“.

პირველ ჯილდოს კრესპომ ხელი შეიძლება 21 აგვისტოსვე შეავლოს. ამ დღეს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში იტალიის სუპერთასის მატჩია: „მილანი“ — „ლაციო“.

პაპუნა კედია

სანტვინი აკვირდება

ჟაკ სანტინი „ტოტენჰემს“ აკომპლექტებს

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ახალი მწვრთნელი, ფრანგი ჟაკ სანტინი ამბობს, რომ მის ჩრდილოლონდონურ კლუბს ძირითადი შემადგენლობისთვის ახალი ძალები სჭირდება. შეგახსენებთ, რომ „სფურზმა“ უკვე იყიდა მეკარე პოლ რობინსონი, ნახევარმცველი შონ დევისი და პორტუგალიელი შემტევი პედრუ მენდეში, თუმცა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელყოფილს ეს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს.

„იმედი მაქვს, სამ ან ოთხ ახალ ფეხბურთელს კიდევ შევიმატებ, ხოლო ახლანდელი გუნდიდან ორი ან სამი შესაძლოა, წავიდეს“ — თქვა სანტინიმ — როდესაც სეზონისთვის გუნდს საბოლოოდ შევკრებთ, უნდა შეგვეძლოს ხმამაღლა იმ იმედის გამოთქმა, რომ მეექვსე ადგილზე დაბლა ნამდვილად არ გავალთ. ამწუთას ჩვენ ასეთ განცხადებას ვერ გავაკეთებთ, თან, ჩემთვის ყველაფერი უცხო და ახალია, ხოლო ოთხი თუ ხუთი გამოცდილი, ამა თუ იმ ნაკრების ფეხბურთელი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა არდადეგებიდან. მოკლედ, ახლა ვერაფერს ვამბობ“.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ბოლო დროს „უაით ჰ ართ ლეინის“ პენსიონერებად და უსარგებლო ადამიანებად დარენ ანდერტონი, ურუგვაელი გუსტავო პოიეტი და გერმანელი კრისტიან ციგე შერაცხეს, დანარჩენების ამბავი აი, ახლა გაირკვევა.

„ცხადია, ზოგი ფეხბურთელის გაცნობა არ მჭირდება, მაგრამ ჩემი ამოცანა ყველა დანარჩენის კარგად გაცნობა გახლავთ. ორ-სამ კვირაში მეტი ინფორმაცია მექნება. შვედური შეკრების შემდეგ უკვე შემეძლება ჩატარებული ამხანაგური შეხვედრების ანალიზი და კლუბის შეფებთან, დენიელ ლევისთან და ფრენკ არნესენთან ერთად განვსაზღვრავ, რა ტიპის ფეხბურთელები გვჭირდება“ — დასძინა ფრანგმა.

ჩვენ კი განვმარტოთ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ ახალი სისტემაა: სანტინი კლუბის ზოგადი ვარჯიშების ხელმძღვანელი იქნება, არნესენი კი ახალ შენაძენებს მიხედავს“.

უნდა ითქვას, რომ არნესენი უკვე შეძენილი ხალხით კმაყოფილია:

„შონ დევისი უნივერსალურია, პედრუ მენდეში კი ნახევარდაცვაშია ყოველმხრივ გამოსადეგი. ფანები რომ შეხედავენ, თავად მიხვდებიან, თუ რა სასარგებლო კაცი ვიყიდეთ“.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან ტიგანას აფრიკაში წასვლა გულით სურს

დიადი ნიგერია ეძებს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ჟან ტიგანა ერთ-ერთია იმ ექვს კანდიდატთაგან, რომლებიც ნიგერიის ნაკრების მწვრთნელობაზე გამოთქვამენ პრეტენზიას. ეს ცნობა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა.

ნიგერიელები კრისტიან ჩუკვუს შესაცვლელად ახალ მწვრთნელს ეძებენ, ჩუკვუს კონტრაქტი აგვისტოში იწურება.

„ფედერაციის ტექნიკური კომიტეტი ხუთშაბათს შეიკრიბა და ექვსი კანდიდატის განცხადებას გადახედა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა — თქვა ფედერაციის წარმომადგენელმა იბრაჰიმ გალადიმამ — ამიტომაც გვინდა მეტ განაცხადს დაველოდოთ. მათ ოთხშაბათამდე ველით. ოთხშაბათს კი შევიკრიბებით და საკითხს ერთხელაც განვიხილავთ“.

ჟან ტიგანა მოგეხსენებათ, ადრე „მონაკოს“ და ინგლისურ „ფულემს“ წვრთნიდა. დღეს ის ნიგერიელთა ნაკრების მწვრთნელობას ლამობს და ფავორიტია.

ცნობილია, რომ ექვს კანდიდატთა შორის არის ბელგიელი მორის კურემანსიც, რომელიც ნიგერიულ კლუბს „ლობი სტარს“ უდგას სათავეში. სხვა კანდიდატთა ვინაობა არ დაუსახელებიათ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის აფრიკის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ნიგერიელების გარდა, არიან ანგოლა, რუანდა, ზიმბაბვე, ალჟირი და გაბონი. ამათგან მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი გუნდი მოხვდება.

საინტერესოა, რომ შარშან ნიგერიელთა გაძღოლის სურვილი ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ბრაიან რობსონმაც გამოთქვა, მაგრამ უარი უთხრეს.

„ნიგერიას დიადი ნაკრები ჰყავს და მას მხოლოდ უმაღლესი რანგის მწვრთნელი უნდა ედგეს სათავეში“ — განმარტა მაშინ სპორტის მინისტრმა მუსა მუჰამედმა.

პაპუნა კედია

მე ბარსელონას კაპიტნობა დამშვენდებოდა

„ბარსელონას“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიო ალბათ, მალე კაპიტნის სამკლავურს მოირგებს.

მავანი იტყვის, რატომ რონალდინიო, როცა ლუის ენრიკესა და ფილიპ კოკუს გუნდიდან წასვლის შემდეგ „ბარსას“ კარლეს პუიოლის კაპიტნობსო, მაგრამ საქმე აი, რაშია:

გუშინ, ჟურნალისტებს რონალდინიომ ოცნება გაანდო, უდიდესი სიამოვნებით გავხდებოდი, ასეთი დიდი გუნდის კაპიტანიო.

საინტერესოა, რომ „ბარსას“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა ჯერ კიდევ წინა სეზონის დასაწყისში განაცხადა, რომ გუნდს სამომავლოდ ახალი კაპიტანი ეყოლებოდა. ამათგან ერთი, რასაკვირველია, კატალონიელთა ჯილა კარლუს პუიოლი იქნება, მეორე კი, ალბათ, რონალდინიო.

„ბარსელონას“ კაპიტნობა დიდი პატივია“ — მოკლედ მოჭრა ბრაზილიელმა.

და, რადგან რონალდინიოზე და „ბარსაზე“ ვსაუბრობთ, აქვე სატრანსფერო ამბავზედაც ვთქვათ. იცით, რომ მილიარდერ რომან აბრამოვიჩს ბრაზილიელზე თვალი რა ხანია, დადგმული აქვს. რონი ამბობს: „აქედან წასვლა არ მსურს თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და „კამპ ნოუს“ დატოვებას არ ვაპირებ“.

ლადო ხომერიკი

რეალი არის კლუბი. რომელიც...

აქ სამი წერტილის ადგილას უამრავი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ ახლა ჩვენი მიზანი ეს არ არის. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ „რეალი“ არის კლუბი, რომელიც ძალიან ხშირად, ბოლო წლებში კი სისტემატურად ცვლის ან რაიმე ახალ დეტალს ამატებს თავის სათამაშო ფორმას.

ამ ფოტოზე მოდელებად წარმოგვიდგებიან განთქმული რეალელები, დევიდ ბექემი, რაული და ზინედინ ზიდანი, რომლებსაც საერთო-სახალხო სამსჯავროზე გამოუტანიათ ახალი დიზაინის ფორმა. ახალი მაისურები თვალის ერთი შევლებით, ოდენ საყელოს ფორმით განსხვავდებიან წინასეზონურისგან. უფრო ძნელად შესამჩნევი დიზაინური ცვლილებები კი თავად აღმოაჩინეთ.

იერე — მისი გადაწყვეტილება

გერმანელი ნახევარმცველი იენს იერემისი ბუნდესნაკრებიდან წავიდა. ეს ამბავი იერემისმა გუშინ აცნობა საზოგადოებრიობას.

„ნაკრებში 55 მატჩი ვითამაშე და მეტი ნამდვილად არ მინდა“ — განუცხადა ორთაბრძოლების მოყვარულმა ნახევარმცველმა „ბაიერნის“ ვარჯიშზე მისულ ქომაგებს.

იერემისი 30 წლისაა და იმედოვნებს, რომ თავისი წასვლით ნიჭიერ ახალგაზრდებს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. იმავდროულად, იერემისი „ბაიერნში“ კონტრაქტით გათვალისწინებულ კიდევ ორ წელიწადს დაჰყოფს.

იენს იერემისი დაიბადა აღმოსავლეთგერმანულ ქალაქ გიორლიცში და სანაკრებო დებიუტი 1997 წელს ჰქონდა. 55 მატჩში ბაიერნელ ვეტერანს მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. მისი ყველაზე დიდი სანაკრებო შედეგი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში თამაში იყო.

პაპუნა კედია

ლუიშ ფიგუ: რა გალაქტიკო, რის კოსმოსი ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ

მადრიდის „რეალმა“ ახალი სეზონისთვის ვარჯიში უკვე დაიწყო, პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ კი საწვრთნელ ბაზას 22 ივლისს მიაკითხავს. ევრო 2004-ზე ბერძნებთან ფინალის წაგებით დამწუხრებული ვარსკლავი საკუთარ ვილაში ოჯახთან ერთად ისვენებს. ფიგუს ესპანური „მარკას“ ჟურნალისტი ესაუბრა...

— პორტუგალიის ნაკრებს ევრო 2004-ის მოსაგებად რა დააკლდა?

— ცოტა გოლები, მეტი არაფერი. ფინალამდე ყველა მეტოქეზე უკეთესები ვიყავით, ფინალშიც ბერძნებზე ძლიერად ვითამაშეთ, მაგრამ თასი მაინც მათ დარჩათ... ვინც უკეთესად თამაშობს, ის ყოველთვის ვერ იგებს. ბედი შედეგიანთა მხარესაა, ყველაზე შედეგიანი კი ამ ჩემპიონატზე საბერძნეთი გამოდგა — ნაკლები საგოლე მომენტი, სრული რეალიზაცია.

— თქვენც იმას ფიქრობთ, რომ ბერძნების მოგებით ყველაზე მეტად ევროპული ფეხბურთი დაზარალდა?

— რეჰაგელის გუნდმა რაც იცოდა, იმით მოიგო ჩემპიონატი და ახლა მათი გაკიცხვა არაფერს მოგვცემს, ეს არაეთიკურია. ადრეც მოუგიათ მსგავს გუნდებს და მათ უფრო აქებდნენ, ვიდრე ლანძღავდნენ... საბერძნეთმა ის ტაქტიკა აირჩია, რაც სასურველ შედეგს მოუტანდა.

— ლუიშ ფიგუ ისევ ითამაშებს პორტუგალიის ნაკრებში?

— უმჯობესია, თუ ახლა ამაზე არ ვისაუბრებთ.

— ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი ხომ არ დაკარგეთ?

— არა, ეს სურვილზე და მონდომებაზე არაა დამოკიდებული. მთავარია, ჯანზე ვიყო. საბედნიეროდ, ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ გულახდილად გეტყვით — არ მიფიქრია, მომავალში რას გავაკეთებ, ახლა ვისვენებ და არ მსურს, მსგავს პრობლემებზე ვიფიქრო.

— „რეალზეც“ ვთქვათ — ფლორენტინო პერესმა საპრეზიდენტო არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო...

— ხალხის არჩევანს სრულად ვეთანხმები. ხალხმა პრეზიდენტად აირჩია ის, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა. ფლორენტინოს კიდევ ოთხწლიან წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ.

— ლორენსო სანსს, ანაც არტურო ბალდასანოს რომ მოეგოთ?

— მათაც მივულოცავდი, ოღონდ მათ წარმატებულ საქმიანობაში ფლორენტინოზე ნაკლებად ვიქნებოდი დარწმუნებული.

— ახალი სეზონის მზადება უკვე დაიწყო, მწვრთნელიც ახლია: ხოსე ანტონიო კამაჩოს უკვე ესაუბრეთ?

— ვესაუბრე, თუმც დიდხანს არა. მთავარია, რომ ერთმანეთს გავუგეთ. კამაჩოს, როგორც პიროვნებას, აქამდე არ ვიცნობდი, მაგრამ რახან საერთო მიზანი გვაქვს, სირთულეები არ უნდა შეგვექმნას. საერთო მიზანი კი, რა თქმა უნდა, „რეალის“ გამარჯვებებია.

— „რეალის“ სხვა ფეხბურთელებისაგან განსხვავებით თქვენ ჯერ კიდევ ისვენებთ. კამაჩოს პრეტენზიები ხომ არ გამოუთქვამს?

— ვფიქრობ, ჩემთვისაც და „რეალისთვისაც“ კარგი იქნება, ევროპის ჩემპიონატის მერე კარგად თუ დავისვენებ. სხვაგვარად გუნდს ბევრი ვერაფრით დავეხმარები.

— შარშანდელი სეზონი „რეალმა“ აშკარად ჩააგდო. და მაინც, რა იყო ფიასკოს მიზეზი?

— „რეალში“ არა წარსულით, არამედ აწმყოთი და მომავალით ვცხოვრობთ. ამიტომაც ძველი ამბების ამოქექვას არ ვაპირებ. გუნდი მუდამ დიდებულ ფეხბურთს თამაშობდა და შარშანდლის გამო ჩვენი ჩამოწერა უსამართლობა იქნება. როცა მატჩებს უმაღლეს დონეზე ვატარებდით და ვიგებდით, ბიჭები არც მაშინ ტრაბახობდნენ — რა მაგრები ვართ, მეტოქე როგორ დავჯაბნეთო...

— ამბობენ, რომ სამეფო გუნდის ძირითად ბირთვს ასაკი შეეპარაო, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ასე გეტყვით — არიან 32-33 წლის მოთამაშეები, რომლებიც ძველებურად ბურთაობენ და არიან 19-20 წლის ახალგაზრდები, მოედანზე ნახევარ საათსაც რომ ვერ ჩერდებიან ხეირიანად. ჩვენ პირველთა კატეგორიას მივეკუთვნებით, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სულ მალე შესაძლოა, თქვენი მეგობარი, რიკარდუ კარვალიუ გადმობარგდეს...

— რიკარდუზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია და არა იმიტომ, რომ ის ჩემი მეგობარია. მისი დონის მცველი „რეალს“ აუცილებლად წაადგება. ისე კი, მე ტრანსფერების მოგვარება არ მავალია, ასე რომ, ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით.

— არგენტინელი მცველი ვალტერ სამუელი უკვე რეალელია. ახალ „ელ გალაქტიკოს“ თუ ელით?

— ეგ ტერმინი ძალიან არ მომწონს. პრესა ხანდახან გადაჭარბებულ მეტსახელებს გვიგონებს. ჩვენ ჩვეულებრივი ხალხი ვართ. მართალია, ფეხბურთის ავანჩავანი, ასეა თუ ისე, კარგად ვიცით, მაგრამ „გალაქტიკური“ და „კოსმოსური“, ცოტა არ იყოს, გადამლაშებულია. ახლა კი, კითხვაზე გიპასუხებთ: სამუელის ყიდვა წინგადადგმული და სწორი ნაბიჯია, დანარჩენზე კი მე რა უნდა გითხრათ, ფლორენტინო პერესს „ბერნაბეუზე“ მხოლოდ საუკეთესოები მოჰყავს და ვნახოთ, კიდევ ვინ შეგვემატება...

ფეხბურთის რუკასთან ერთად მოგზაურობა

ესპანურ „რეალს“ იურკას სეიტარიდისის შეძენა სურს და მზადაა 4 მილიონი ევროც გაიღოს. ბერძენი ევროპის ჩემპიონის გადაბირება პირადად ხოსე ანტონიო კამაჩოს სწადია, რათა მიჩელ სალგადოს კონკურენტუნარიანი შემცვლელი ჰყავდეს.

პორტუგალიური „პორტუ“ დმიტრი ალენიჩევის ტრანსფერთან დაკავშირებით ფაქტობრივად უკვე მოელაპარაკა მოსკოვის „სპარტაკს“. „თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, ახლა ისღა დარჩა, „პორტუს“ წარმომადგენლები რუსეთში ჩამოფრინდნენ და დოკუმენტები გავაფორმოთ, რის შემდეგაც კონტრაქტსაც ხელს მოვაწერთ. ჩვენ პირადად დმიტრისაც ვესაუბრეთ და ისიც ძალიან კმაყოფილია“ — თქვა მოსკოველთა სპორტულმა დირექტორმა იური პერვაკმა.

ესპანური „რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“ აზიური ტურნესთვის ემზადებიან. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელთა ხელმძღვანელობა გასულ სეზონში, ჩავარდნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ამგვარ ტურნეს ასახელებდნენ, მათ მაინც ვერ გაუძლეს ცდუნებას. „რეალი“ და „ვალენსია“ იაპონიას ეწვევიან, ხოლო „ბარსელონა“ სამხრეთ კორეასა და ჩინეთში გაემგზავრება. ამ ტურნეში მადრიდელები 15 მილიონ ევროს მიიღებენ, კატალონიელები 4 მილიონს, ხოლო გალისიელები ოდენ 1,3 მილიონს.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა მცველი მარკ ლინჩი გუნდიდან წავიდა. ალექს ფერგიუსონთან საუბრის შემდეგ 22 წლის ფეხბურთელმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და „სანდერლენდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ძნელია მშობლიურ კლუბთან განშორება. აქ 11 წლის ასაკიდან ვარ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაში და წინსვლა მინდა. მსურველები კიდევ იყვნენ, მაგრამ „სანდერლენდში“ გადასვლა ვარჩიე. ეს დიდი ტრადიციების კლუბია“ — განაცხადა ლინჩმა.

ესპანური „ლევანტე“ თეოდოროს ზაგორაკისის შეძენას აპირებდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიდა, კლუბმა მოლაპარაკება შეწყვიტა. „ეს გადაწყვეტილება მივიღეთ ფეხბურთელის აგენტების არაპროფესიონალიზმისა და ჩვენდამი არასერიოზული დამოკიდებულების გამო“ — ნათქვამია „ლევანტეს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გუშინ კი ბერძენი ზაგორაკისი იტალიურ „ბოლონიაში“ გადავიდა.

შოტლანდიური „სელტიკმა“, რომელიც ჩეხი მარეკ ჰაინცის შეძენის მთავარი კანდიდატი იყო, ფეხბურთელზე უარი თქვა. „ფაქსი მივიღეთ, სადაც გლაზგოელები გვაუწყებენ, რომ ჰაინცით აღარ არიან დაინტერესებულნი“ — აღნიშნა ოსტრავის „ბანიკის“ წარმომადგენელმა. მიზეზი კი ჩეხური კლუბის მიერ ფორვარდის ფასის 2 მილიონ გირვანქამდე გაზრდა ყოფილა.

ესპანური „ბარსელონა“ ჩეხი ფორვარდის, მილან ბაროშის შეძენას ჯერჯერობით ვერ ახერხებს. კატალონიელები ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის სატრანსფერო ფასმა დააფრთხო. ინგლისური „ლივერპულის“ ახალმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა რომ განაცხადა, ბაროში აღარ მჭირდებაო, ბრიტანელებმა ჩეხი ტრანსფერზე დააყენეს და თქვეს, მსურველმა არც მეტი, არც ნაკლები 20 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოსო.

არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას ლონდონურ „ფულემში“ ელიან. ვეტერანი თავდამსხმელის აგენტმა სეტიმო ალოიზიომ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და ახლა მხოლოდ თავად გაბრიელ ომარის თანხმობაა საჭირო.

გერმანელი მცველი მარკუს ბაბელი „ბლექბერნიდან“ „შტუტგარტში“ გადავიდა. 31 წლის მცველი „ლივერპულის“ საკუთრება იყო და შარშან „ივუდ პარკზე“ იჯარის წესით თამაშობდა. ბაბელი სამშობლოში თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა.

იტალიური „მილანის“ ღრმა სათადარიგო ფეხბურთელმა კრისტიან ბროკიმ გუნდიდან წასვლა გადაიფიქრა. „გუშინ ვესაუბრე ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის და მწვრთნელ კარლო ანჩელოტის, მათ დამარწმუნეს, რომ გუნდისთვის კიდევ საჭირო ვარ. სხვა რა გაზა დამრჩენია, ძირითადში მოსახვედრად თავდაუზოგავად ვიბრძოლებ“.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ ნახევარმცველ ნიკი ბათს ემშვიდობება, ოღონდ დროებით. საქმე ისაა, რომ მანჩესტერელები ბათს ანათხოვრებენ, მაგრამ სად, ჯერ არ იციან. 29 წლის ფეხბურთელის გადაბირების მსურველები „მიდლსბრო“, „ტოტენჰემი“, „ასტონ ვილა“ და „ნიუკასლი“ არიან.

უეფა

ალსვენსკა. XII ტური

აიკ 3:1 გიოტებორგი

ჰალმსტადი	11	7	3	1	26:13	24
მალმიო	12	6	5	1	18:5	23
ჰამარბი	11	7	2	2	12:7	23
კალმარი	11	5	4	2	15:10	19
გიოტებორგი	12	5	3	4	12:9	18
სუნდსვალი	11	3	5	3	10:10	14
იურგორდენი	11	3	4	4	14:17	13
აიკ	12	3	4	5	9:12	13
იორგრიტე	12	2	6	4	12:16	12
ელფსბორგი	11	3	3	5	8:15	12
იორებრო	11	3	3	5	12:21	12
ლანდსკრონა	11	2	4	5	12:16	10
ტრელებორგი	11	2	3	6	7:13	9
ჰელსინგბორგი	11	1	5	5	14:17	8

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIV ტური

მიუპა 1:1 კტპ

ტპ-47 3:1 ლაჰტი

იარო 0:3 ტამპერე

ჰაყა	14	8	4	2	26:8	28
ინტერი	13	8	2	3	30:18	26
ტამპერე	12	7	3	2	17:7	24
ალიანსი	13	7	3	3	18:14	24
ტურკუ	14	7	2	5	22:18	23
ჰიკ	14	5	7	2	23:15	22
ტპ 47	13	6	3	4	20:14	21
კტპ	14	5	5	4	19:17	20
ლაჰტი	15	3	8	4	17:21	17
ჯაზი	13	4	3	6	22:24	15
მიუპა	12	3	4	5	11:17	13
როვანიემი	14	2	3	9	14:32	9
ჰამენლინა	14	1	4	9	15:31	7
იარო	13	2	1	10	12:30	7

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით აღგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. სუპერლიგა. I ტური						
		17 ივლისი						
21.30	182	შაფპაუზენი-ქსამაქსი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.30	183	სტ.გალენი-იანგ ბოიზი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41
21.30	184	გრასჰოპერი-ციურიხი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
21.30	186	ბაზელი-აარაუ	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
		შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური						
		18 ივლისი						
20.00	191	ლანდსკრონა-ელფსბორგი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
20.00	192	იორებრო-სუნდსვალი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		19 ივლისი						
21.00	193	იორგრიტე-კალმარი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
21.00	194	ტრელებორგი-ჰელსინგბორგი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
22.00	195	ჰამარბი-იურგორდენი	2,35	3,1	2,8	1,33	1,27	1,47
		შვედეთი. სუპერეტა. XIV ტური						
		18 ივლისი						
18.00	198	ვესტეროსი-ბოდენსი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
20.00	199	ფალკენბერგი-ატვიდაბერგი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.00	200	გაის-გეფლე	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
20.00	201	იოსტერსი-ენჩიოპინგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
		ნორვეგია. I დივიზიონი. XVII ტური						
		18 ივლისი						
20.00	203	ალესუნდი-სკეიდი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
20.00	204	ბრინი-ჰიოდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
20.00	205	ჰიონეფოსი-პორს გრენლანდი	1,65	3,8	4,0	1,15	1,16	1,94
20.00	206	კონსვინგერი-სტრიომსგოდსეტი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
20.00	207	მოსი-ჰაუგესუნდი	1,75	3,8	3,4	1,19	1,15	1,79
20.00	208	სანდეფიორდი-ტრომსდალენი	1,15	6,0	10,0	1	1,03	3,75
20.00	209	ვარდ ჰაუგესუნდი-რაუფოსი	2,35	3,6	2,35	1,42	1,17	1,42
21.00	210	სტარტი-მანდალი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XV ტური						
		18 ივლისი						
19.30	219	ვაზი-ჰიკ	3,6	3,2	1,85	1,69	1,22	1,17
19.30	220	კტპ-იარო	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
19.30	221	ტურკუ-ტპ 47	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
19.30	223	ჰაკა-როვანიემი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური						
		17 ივლისი						
22.30	243	დერი-შემროკი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		18 ივლისი						
22.00	241	შელბურნი-დროგედა	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური						
		17 ივლისი						
15.00	249	დინამო-ალანია	1,9	3,0	3,8	1,16	1,26	1,67
15.00	250	კრილია-ყუბანი	1,3	4,2	9,0	1	1,13	2,86
15.00	252	ტორპედო-ცსკა	3,2	3,0	2,05	1,54	1,24	1,21
15.00	253	ზენიტი-ლოკომოტივი	2,4	2,9	2,8	1,31	1,29	1,42
		18 ივლისი						
15.00	254	ამკარი-სატურნი	2,45	2,9	2,7	1,32	1,28	1,39
15.00	255	რუბინი-როტორი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
		ბრაზილია. სერია A. XVI ტური						
		17 ივლისი						
23.00	283	ვიტორია-კორინთიანსი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.00	284	კრუზეირო-ბოტაფოგო	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
23.00	285	ინტერნასიონალი-ატლეტიკო პრ	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
23.00	286	პალმეირასი-გრემიო	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
23.00	287	პარანა-სან კაეტანო	2,0	3,1	3,4	1,25	1,25	1,7
24.00	288	გოიასი-ვუარანი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
01.00	289	ფლამენგო-ჟუვენტუდი	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
01.00	290	ფლუმინენსე-სანტოსი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
03.30	291	კურიტიბა-პაისანდუ	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
03.30	292	კრიციუმა-ატლეტიკო მნ	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
03.30	293	სან პაულუ-ფიგეირენსე	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74
03.30	294	პონტე პრეტა-ვასკუ და გამა	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
		აშშ. MLS. XV ტური						
		17 ივლისი						
24.00	301	სან ხოსე-კოლორადო	2,2	3,0	3,1	1,26	1,28	1,52
03.30	302	კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
03.30	303	ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი	2,45	3,0	2,6	1,34	1,26	1,39
03.30	304	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
04.30	305	დალასი-კანზასი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		ხორვატია. სუპერ თასი						
		17 ივლისი						
20.00	307	ჰაიდუკი-დინამო(ზ)	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები						
		17 ივლისი						
17.00	347	თუნი-ჰამბურგი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
19.00	348	შინიკი-ლეირია	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
19.15	349	შალკე-ვარდარი	1,25	4,8	8,0	1	1,08	3
20.00	350	ლიბერეცი-როდა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
20.00	351	სლავენი-ტრნავა	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
21.00	352	ლილი-დინამო(მნ)	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
21.30	353	ზლინი-ატლეტიკო	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
22.30	354	გენკი-დორტმუნდი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
24.00	355	ვილიარეალი-სპარტაკი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		18 ივლისი						
19.00	356	ვეტრა-ესბიერგი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
20.00	357	ნანტი-კორკი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
20.00	358	ტამპერე-ოფკ	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46



ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივლისი						
02.00	041	არგენტინა-პერუ	2,1	3,0	3,4	1,23	1,29	1,59
04.45	042	კოლუმბია-კოსტა რიკა	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
		18 ივლისი						
24.00	047	პარაგვაი-ურუგვაი	2,5	3,0	2,6	1,36	1,27	1,39
05.00	048	ბრაზილია-მექსიკა	2,1	3,0	3,4	1,23	1,29	1,59

I ტაიმის შედეგი

		17 ივლისი					
5041	არგენტინა-პერუ	2,6	2,0	3,4	1,13	1,5	[illegible]
5042	კოლუმბია-კოსტა რიკა	2,2	2,1	4,8	1,07	1,5	1,46
		18 ივლისი					
5047	პარაგვაი-ურუგვაი	3,1	2,0	3,2	1,21	1,57	1,23
5048	ბრაზილია-მექსიკა	2,6	2,0	3,8	1,13	1,54	1,31

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესაძლო ფაგენულად ჩაითვლება)

	17 ივლისი		
5441	არგენტინა-პერუ	1,8	2,0
5442	კოლუმბია-კოსტა რიკა	1.6	2,4
	18 ივლისი		
5447	პარაგვაი-ურუგვაი	1,9	1,9
5448	ბრაზილია-მექსიკა	1,8	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				17 ივლისი						
5141	არგენტინა-პერუ	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	5,3
5142	კოლუმბია-კოსტა რიკა	2,4	10,0	20,0	3,5	4,6	8,0	20,0	10,0	7,5
				18 ივლისი						
5147	პარაგვაი-ურუგვაი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
5148	ბრაზილია-მექსიკა	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	5,3

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	17 ივლისი			
5541	არგენტინა-პერუ	3,0	2,8	2,0
5542	კოლუმბია-კოსტა რიკა	3,0	2,8	2,0
	18 ივლისი			
5547	პარაგვაი-ურუგვაი	3,0	2,8	2,0
5548	ბრაზილია-მექსიკა	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	17 ივლისი		
5341	არგენტინა-პერუ	1,65	1,95
5342	კოლუმბია-კოსტა რიკა	1,7	1,9
	18 ივლისი		
5347	პარაგვაი-ურუგვაი	1,65	1,95
5348	ბრაზილია-მექსიკა	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	17 ივლისი		
5241	არგენტინა-პერუ	1,65	1,95
5242	კოლუმბია-კოსტა რიკა	1,65	1,95
	18 ივლისი		
5247	პარაგვაი-ურუგვაი	1,6	2,0
5248	ბრაზილია-მექსიკა	1,65	1,95

შემდეგ ეტაპზე გასვლა

	17 ივლისი		
7041	არგენტინა-პერუ	1,6	2,0
7042	კოლუმბია-კოსტა რიკა	1,35	2,6
	18 ივლისი		
7047	პარაგვაი-ურუგვაი	1,75	1,85
7048	ბრაზილია-მექსიკა	1,55	2,1

თასი (17 ივლისი) 6002

არგენტინა	3,0
ბრაზილია	3,5
კოლუმბია	6,0
პერუ	6,0
მექსიკა	6,0
პარაგვაი	10,0
ურუგვაი	10,0
კოსტა რიკა	35,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაპაზუსტეთ

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ლეიკერსს უნდა შევაბერდე!

კობი ბრაიანტს ამის 136 მილიონი მიზეზი აქვს

„მე კონფლიქტი მქონდა შაკთან და ფილთან, მაგრამ მაინც მინდოდა მათთან თანამშრომლობა, რაც არ გამოვიდა.“ — თქვა კობი ბრაიანტმა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ 7 წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

რა თქვა კობიმ, ნაკლებმნიშვნელოვანია, ხალხი ბრძენია და დაინახა, რომ როცა ფილ ჯეკსონის კვალზე ოთხშაბათს შაკილ ონილმაც დატოვა „ლეიკერსი“, ბრაიანტმა მეორე დღესვე გააფორმა თავის ძველ გუნდთან კონტრაქტი. არადა, ქვეყანამ იცოდა, რომ ის სხვაგან მიდიოდა — უფრო სწორად, არც არსად მიდიოდა, ლოს ანჯელესში რჩებოდა, ოღონდ არა „ლეიკერსში“, არამედ „კლიპერსში“.

ასეთი საეჭვო დამთხვევის გამო ბრაიანტს, ცხადია, კომენტარიის გაკეთება მოუხდა, მაგრამ ის მაინც არ გატყდა — „ეს უაზრობა და ჩემი შეურაცხყოფაა. ისინი თავის გზაზე წავიდნენ, შაკმა და ფილმა გააკეთეს ის, რაც უნდოდათ და მე რა შუაში ვარ. ვიმედოვნებ, მოვა დრო, ისინი „ლეიკერსში“ დაბრუნდებიან და ჩვენ კვლავ ერთად მოვიგებთ ჩემპიონობას.“

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა წასულიყო ბრაიანტი სხვაგან, მით უფრო, მაჩანჩალა „კლიპერსში“, როცა „ლეიკერსმა“ მას არანაკლებ ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა. ვიცეჩემპიონებმა კობის კლიპერსელებზე ერთი წლით ხანგრძლივი და 30 მილიონით სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს, რამაც ჯამში 136,4 მილიონი შეადგინა 7 წელიწადში.

თანაც კობის აღრე უთქვამს, ლეიკერსელად უნდა დავრჩე ბოლომდეო და სკანდალზე ჩასაფრებულ ჟურნალისტებს ესეც გაახსენა: „მე ყოველთვის მინდოდა „ლეიკერსში“ თამაში და ეს არაერთხელ მითქვამს. ესაა გუნდი, რომელშიც ღირს თამაში, რომელმაც მე ბევრი რამ მომცა და მინდა, კარიერაც აქ დავასრულო.“

ასეა თუ ისე, „ლეიკერსმა“ შეინარჩუნა სამი ძრავიდან ერთი, კობი ბრაიანტი, და მომავალი სეზონიდან რუდი ტომიანოვიჩის ხელმძღვანელობით აპირებს ახლებური ტაქტიკით ბრძოლას. რაკი დევშაკი წავიდა და „მაიამიდან“ შედარებით მძრავი ხალხი მოვიდა, „ლეიკერსი“ ამიერიდან ალბათ მობილური და მსუბუქი გუნდი იქნება.

ამას ხედავს ბრაიანტი და ამბობს: „წინ დიდი ბრძოლები გველის. გუნდის ხელმძღვანელობამ სტრატეგია შეცვალა და ჩვენ, როგორც რიგითმა ჯარისკაცებმა, ჩვენი წილი საქმე უნდა ვაკეთოთ წარმატების მისაღწევად.“

ირაკლი პერტაია

ესღა აკლდა!

ნიკა ცქიტიშვილს ბილში კენიონ მარტინიც ჩაუჯდა

ცუდი ამბავი ნიკოლოზ ცქიტიშვილისთვის: „დენვერში“ მივიდა მისი ამპლუის მოთამაშე კენიონ მარტინი, ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, ვისაც „ნიუ ჯერსის“ მაისურით ორ ფინალურ სერიაში უთამაშია, წლეულს კი ოლ სტარშიც გაიქნია ხელი და დასავლელ დიდვარსკვლავებს 17 ქულა ჩაუგდო. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „დენვერში“ მივიდა ფორვარდი, რომელსაც ხუთეულში ადგილი აქვს გარანტირებული და თან სწორედ იმ პოზიციაზე, რომელზეც ცქიტიშვილს კინკილა წუთებით ათამაშებდნენ აწ გასრულებულ სეზონში.

არადა, მარტინის გადმოსაბირებელ გარიგებაში „დენვერის“ შეფებმა ცქიტიშვილის სახელიც უხსენეს ნიუჯერსელებს, ოღონდ ქართველს ამ ამბავში ოდენ ხურდის როლი უნდა შეესრულებინა. გარიგების ერთ-ერთი ვერსიით, მარტინის სანაცვლოდ „ნიუ ჯერსიში“ ნენე უნდა წასულიყო და მას ცქიტიშვილიც გაჰყოლოდა ჩარიზად. სწორედ ამ „მომე-არმოგცემში“ გაილია ერთი კვირა და საბოლოოდ გარიგებაც შედგა: „ნიუ ჯერსიში“ არავინ წასულა, რეზერფორდელებმა მომდევნო სამი დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება მიიღეს დენვერელებისგან და ასე იაფად გამოვიდნენ.

კენიონ მარტინი გახლდათ შეზღუდული თავისუფალი აგენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას კონტრაქტი ამოეწურა, მაგრამ „ნიუ ჯერსის“ კომპენსაცია ეკუთვნოდა მისი წამყვანი კლუბისგან. მარტინს არაერთი გუნდი სთავაზობდა მრავალმილიონიან კონტრაქტს და თან ისინი „ნიუ ჯერსის“ ხელმძღვანელებსაც ევაჭრებოდნენ, თუ მარტინს ჩვენი პირობები მოეწონა, ამას და ამას მოგცემთ მის სანაცვლოდო.

ყველაზე მეტად აქტიურობდა „ატლანტა ჰოქსი“, სახელფასო ფონდში ყველაზე მეტი თავისუფალი თანხის მქონე სუსტი გუნდი, მაგრამ მარტინმა დასავლეთისკენ გაუტია 6 წელიწადში 82,3 მილიონის სანაცვლოდ.

„როცა შანსი გაქვს, კენიონ მარტინის დარი მრავალ საპლეიოფო სერიასა და ოლ სტარში გამობრძმედილი კალათბურთელი შეიმატო, არაფერზე არ უნდა დაიხიო უკან, უკანასკნელ წუთამდე უნდა ეცადო მის ხელში ჩაგდებას — ამბობს „დენვერის“ გახარებული პრეზიდენტი კიკი ვანდეეი — ჩვენ ძალიან, ძალიან გაგვიმართლა, რომ ესეთი კაცის გადმოყვანა შევძელით.“

მარტინის შენარჩუნება „ნიუ ჯერსისაც“ შეეძლო, მაგრამ მისთვის იმაზე მეტი უნდა გადაეხადა, რამდენსაც სხვა გუნდები შესთავაზებდნენ. მაგრამ „დენვერი“ საკონტრაქტო 82,3 მილიონთან ერთად მარტინს ნაირგვარ პრემიას შეჰპირდა, რასაც „ნიუ ჯერსი“ ვერარ გასწვდა და...

„მაშინვე თვალში გეცემა მარტინის კონტრაქტის მომხიბვლელი პირობები. ხელფასი ხელფასად და მას სერიოზულ პრემიებსაც შეპირდა „დენვერი“. ჩვენ ვიცნობთ მარტინს, ის ძალიან კარგი მოთამაშეა, მაგრამ ის ამდენი არ გვიღირდა. ჯობს შეველიოთ მარტინს და ამ ფასად სხვა რიგიანი კალათბურთელების შეძენაზე ვიზრუნოთ“ — გულახდილია „ნეთისის“ პრეზიდენტი როდ ტორნი.

ასე რომ, ბოლო სეზონში საშუალოდ 16,7 ქულისა და 9,5 მოხსნის მომხვეჭი კენიონ მარტინი ამიერიდან „დენვერის“ დამწყებ ხუთეულში დამკვიდრდება.

ცქიტიშვილი კი სავარაუდოდ ისევ სკამზე იჯდება და მოქანცულ მარტინს დასასვენებლად იშვიათად თუ შეცვლის ხოლმე.

ირაკლი პერტაია



ჭაბუკები ბოლო ადგილს მიადგნენ

საქართველო 61:96 ლიტვა

17:26 15:23 16:23 13:24

საქართველო: გამყრელიძე (2), ლეჟავა, ცინცაძე (10), მარკოიშვილი (20), სანიკიძე (18), ჯანეზაშვილი (5), დიდია (8), ათანელიშვილი



როდემდე უნდა ვიყოთ ამ ბიჭის იმედად? მანუჩარ მარკოიშვილმა კვლავ იყოჩაღა, მაგრამ რა...

ჯგუფში ჩარჩენილმა და ახლა მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის მებრძოლმა ქართველმა ჭაბუკებმა გუშინ მორიგი მატჩი წააგეს სარაგოსაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრები დღეს მეორე „უიღბლოთა“ შეხლაში დამარცხებულ ლატვიას შეხვდება ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორი ადგილის გასანაწილებლად.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ქართველებმა ხუთი მეტოქიდან მხოლოდ ლატვიას მოუგეს, მეხუთე ადგილზე გავიდნენ და გუშინ მეორე ჯგუფში ბოლოზე გასულ ლიტვას შეხვდნენ. თამაზ ოქრუაშვილის გუნდმა ბალტიელებთანაც ისე უილაჯოდ ითამაშა, როგორც მანამდელ 5 წაგებულ შეხვედრაში და ამ ერთხელაც განადგურდა. ლიტველებმა ყველა მეოთხედი დამაჯერებლად მოუგეს ქართველებს და საბოლოოდ 35 ქულით იმარჯვეს.

კავკასიელთა ფარქვეშეთი მოაოხრა ბალტიელმა გოლიათმა, ჩემპიონატის ლიდერმა მოხსნებში მიხალის ანდრიუსკევიჩუსმა, ვინც 17 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა. ქართველები ისედაც უცენტროდ თამაშობდნენ ამ ჩემპიონატზე და კიდევ ანდრიუსკევიჩუსი უნდოდათ?!

ხოლო ოქრუაშვილის ბიჭებში ისევ ის ტრიო გამოირჩა, რომლის ილაჯითაც ქართველთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე მივიდა. ვიქტორ სანიკიძემ 18 ქულა დააგროვა, მანუჩარ მარკოიშვილმა — 20, გიორგი ცინცაძემ — 10, დანარჩენმა ქართველებმა კი ჯამში მხოლოდ 13 ქულა გააკეთეს.

ირაკლი პერტაია

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. II ევროაფრიკული ჯგუფი
მესხის ტკადეშია. 16 ივლისი

საქართველო 2:0 ეგვიპტე

ირაკლი უშანგიშვილი — ქარიმ მაამუნი 1:6, 7:6 (7:4), 6:4, 7:5
ირაკლი ლაბაძე — მუჰამედ მაამუნი 6:3, 6:3, 6:2

ირაკლი ლაბაძე იოლად გაუსწორდა მუჰამედ მაამუნს

ირაკლიადა

ლაბაძემ და უშანგიშვილმა ეგვიპტელებს ოცნების პირამიდა დაუნგრიეს

მაია ჩახნაშვილი, ირაკლი უშანგიშვილი და კომპანია დოლით ქომაგობენ ლაბაძეს

დევისის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში დასარჩენად საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი გამარჯვებაღა აკლია. წინ კი სამი თამაშია. გუშინ ჩატარებულ ერთეულთა ორივე შეხვედრაში ქართველებმა იმარჯვეს და ეგვიპტელთა კაპიტნის იმედსაც ცივი წყალი გადაესხა. ლაბაძის გარდა ყველას უნდა მოვუგოთო, იქადნებოდა ორი დღის წინ ქარიმ ბალი, თუმც ახლა, თუ ჩვენებურთა ძლევა უნდა, მუჰამედ მაამუნს ლაბაძის დასამარცხებელი დარიგებებიც უნდა მისცეს. საეჭვოა, ეს შეძლოს.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა აშკარად დაგვანახა თავისი ძალა. მიუხედავად მცირე ტრავმისა, მეტოქეს უშანსოდ სძლია. მუჰამედს კი ალბათ ყველაზე კარგად პირველი სეტის შუაწელი დაამახსოვრდება. გადაჭედილი ტრიბუნების მხურვალე გულშემატკივრობით გამხნევებულ და 3:0 დაწინაურებულ ლაბაძეს ზედიზედ სამი გეიმი მოუგო და ცოტათი აანერვიულა კიდეც, მაგრამ ტრიბუნიდან სანერვიულო მაინც არაფერი ჩანდა. ეგვიპტელი არათუ მატჩის, იმ სეტის მოგებასაც რომ ვერ შეძლებდა, ეჭვიც არავის შეჰპარვია.

ლაბაძე მყისვე დამშვიდდა და სეტი ისე ჩაამთავრა, მაამუნისთვის ერთი გეიმიც აღარ დაუთმია. მეორე-მესამე სეტები ქომაგთათვის კიდევ უფრო ტკბილი სანახავი გამოდგა. მუჰამედმა მეექვსე გეიმამდე იბრძოლა, მერე კი საბოლოოდ გატყდა და სამქულიან მონაგარს ვეღარაფერი წაამატა. მესამე სეტში სულაც ორი ქულა მოიმკა და ჩოგანი დააშალითა.

კორტიდან გამოსულ ლაბაძეს მილოცვის შემდეგ პირველ რიგში ნატკენ მაჯაზე დავეკითხეთ:

— ნემსები გავიკეთე, მაგრამ მარჯვნიდან დარტყმისას ტკივილს აშკარად ვგრძნობდი. ამიტომაც იყო, ამ მხრიდან ძირითადად მოჭრილებით ვთამაშობდი.

— ერთი-ორჯერ გვარიანად ანერვიულდი. ცოტა ხომ არ გაგიჭირდა?

— ნამდვილად არ გამჭირვებია. ემოციების გადმოფრქვევა კი ჩვეულებრივი მომენტია. რაღაც რომ არ გამოგივა, ემოციებიც გროვდება და სასურველია, მათგან დაიცალო. მოგებაში დარწმუნებული ვიყავი, თუნდაც რეიტინგში ამხელა სხვაობის გამო.

— ეგვიპტელთა ორივე მთავარი მოთამაშე ნახე საქმეში. უშანგიშვილისგან ძლეული მაამუნი უფრო ძლიერი ჩანს?

— არა მგონია. ერთი დონისანი არიან.

— წყვილებში თუ აპირებ თამაშს?

— ჯერ არ ვიცი. ალბათ ხვალ გადაწყდება. ისე კი მირჩევნია წყვილებში დავისვენო და კვირას ერთეულებში ვითამაშო.

წინასწარი გეგმის მიხედვით დღეს ლაბაძე ლადო ჩიხლაძეს უნდა შეწყვილებოდა, თუმც გადაწყვეტილების შეცვლა თამაშამდე ერთი საათით ადრეც შეიძლება. ასე რომ, კაპიტანი გელა ელერდაშვილი ამ საკითხზე კიდევ იფიქრებს. პირველ დღეს ხომ ფაქტობრივად გამარჯვება გაინაღდა.

ქართულ-ეგვიპტური დაპირისპირების პირველი რაუნდი კი ბოლოსთვის ტკბილ ლუკმად შემოვინახეთ. კლასიფიკაციაში 752-ე საფეხურზე მდგომი ირაკლი უშანგიშვილისგან გამარჯვებას ბევრი არ ელოდა. არაბთა პირველმეჩოგნე ქარიმ მაამუნი ჩვენს მეორეს 130 ადგილით უსწრებს, თან პირველი სეტიც ისე მოუგო, თამაშს საიმედო ვერაფერი შევატყვეთ — უშანგიშვილმა მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო.

მეორე სეტი გაცილებით საინტერესო გამოდგა. სტუმარ-მასპინძელმა თავიანთი მოწოდებები ორ-ორჯერ აიღეს, მომდევნო ორი გეიმი კი ეგვიპტელისა იყო. მაამუნი 4:2 დაწინაურდა. მერე ერთხელაც გაუცვალა მოწოდება ქართველს და ალბათ ფიქრებით მესამე გადამწყვეტ სეტშიც იქნევდა ჩოგანს, თუმც დიდი ოფლისღვრა იმავე სეტში დასჭირდა, უშანგიშვილი აშკარად გაიხსნა. ქომაგობამაც ერთიორად იმატა და ქართველთა სიხარულმაც. ეისებით და ბადესთან ხეირიანი გასვლებით ირაკლიმ ჯერ სხვაობა შეამცირა, ხოლო მერე ანგარიში 6:6-იც გახადა და ტაიბრეიკშიც იმარჯვა.

მესამე-მეოთხე სეტების შემხედვარეთ ქართველის დიდი უპირატესობის მტკიცებას ვერ დაგიწყებთ, მაგრამ თამაშის ამ მონაკვეთში ეგვიპტელი უკვე გატეხილი ჩანდა. უშანგიშვილის ძლიერ მოწოდებებსა და ბადესთან თამაშს ვერაფერი მოუხერხა და ნერვიულობასთან ერთად შეცდომებსაც უმატა. ერთხანს თვითონაც სცადა ბადესთან გასვლა, თუმც აბსოლუტურად უშედეგოდ.

ქართველის ყოველ ჩაგდებულ ბურთს კი დიდი ოვაციები აგვირგვინებდა. განსაკუთრებით კორტის მეორე მხარეს სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე მოკალათებული ნაკრების წევრები, სხვა ჩოგბურთელები და ჩოგბურთში მოტრიალე ხალხი აქტიურობდნენ. დროშაც აფრიალეს და სიმღერაც არ დაუკლიათ. მერე ვიღაცამ დოლიც მიიტანა და თამაშებიც სულ დიმპიტაურით ჩამთავრდა.

დღეს თორმეტ საათზე გუნდების წარდგენის ცერემონიაა, პირველის ნახევარზე კორტზე უკვე წყვილები გავლენ, ხვალ თორმეტიდან კი ისევ ერთეულები იჩოგნავებენ. მობრძანდით, სიამოვნება უფასოა.

ოთარ მაღლაკელიძე

უჩვეულო ამბავი

ანდრემ მოგებები გადაბარა

MERCEDES-BENZ CUP
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

მეორე წრე

ანდრე აგასი (1, აშშ) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:2; ჯეფ მორისონი (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 7:5, 6:4; უესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) 7:6 (7:5), 2:6, 7:5; ტომი ჰაასი (გერმანია) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:2, 6:0

მარტის მერე ერთი თამაშიც რომ არ მოეგო, ანდრე აგასიმ პირველ წრეში მოხვეჭილ თავის მერვაასე საკარიერო მოგებას მეორეში კიდევ ერთიც მიაყოლა. უსახელო ფრანგი ჟულიენ ბენეტო მას მხოლოდ დასაწყისში გაუძალიანდა. ჩაფლავდნენ მეორე ნომრად განთესილი პარადორნ შრიჩაფანი და რანგით მეხუთე ჩოგნის მქნეველი სხენგ შალკენი, რამაც 34 წლის არმენომარიკელს თავისი მორიგი ტიტულის შოვნა უნდა გაუადვილოს. შეგახსენებთ, რომ ლოსანჯელესურ მაგარსაფარზე მას 1998, 2001-02 წლებში უპირველია.

BANK OF THE WEST CLASSIC
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

მეორე წრე

ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ლუდმილა სკავრონსკაია (რუსეთი) 6:1, 6:1; პატი შნიდერი (3, შვეიცარია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:2; ფრანჩესკა სკიავონი (4, იტალია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 4:6, 6:3, 7:6 (7:2); ემი ფრეზერი (6, აშშ) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:0)

სტენფორდში მოჩოგნავე ვინუს უილიამსმა თავის უმთავრეს მოცილედ ლინდსი დევენპორტი უნდა იგულოს. ლინდსი წლევანდელი სეზონის ბოლოს ჩოგნის ჩამოკიდებას აპირებს და ამდენად ახლა ისე თავისუფლად თამაშობს, როგორც არასდროს. ამაზე თუნდაც "მისი და „ახალი რუსქალის" ლუდმილა სკავრონსკაიას შეადარეს ანალიტიკოსებმა მეტყველებს. ეს ლუდმილა კაი მაგრად უბრახუნებს, მაგრამ კორტზე ჯერ მყარად ვერა დგას და ბევრსაც მიჰქარავს ხოლმე. ლინდსისთან ბურთაობისას მან თავი უწინარესად სწორედ თავისი ოკრობოკრო გარჯით დაგვამახსოვრა.

MERCEDES CUP
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 615 ათასი €

მეორე წრე

გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) — უგო არმანდო (აშშ) 3:6, 6:2, 7:6 (7:5)

მესამე წრე

გაუდიო — ტომაშ ბერდიხი (16, ჩეხეთი) 6:2, 6:4; რაფაელ ნადალი (14, ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (3, არგენტინა) 6:2, 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (15, რუსეთი) — ანდრეი პაველი (4, რუმინეთი) 7:5, 1:6, 6:4; ირაჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (10, რუსეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:1; ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (8, არგენტინა) 7:5, 7:6 (7:6); დავიდ ფერერი (11, ესპანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:4, 6:2

წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონ გასტონ გაუდიოს იმ დღეს ორი მატჩის გამართვა მოუხდა — პირველში ის ბეწვზე გადაურჩა ამერიკელ უგო არმანდოს, ვისაც გადამწყვეტ ტაიბრეიკში მოგებამდე მხოლოდ ორი ქულაღა აკლდა, მეორეში კი შედარებით იოლად ავჯობა ჩეხ ტომაშ ბერდიხს. თუმცა დღის უმთავრესი ამბავი მაინც მოკეთებული რაფო ნადალის მიერ მესამე ნომრად განთესილი ხუან იგნასიო ჩელას გაიმასქნება იყო — 17 წლის ესპანელი ჯადობიჭუნა, რომელმაც ეს-ესაა მოიშუშა რამდენიმე თვის წინ გატეხილი კოჭი, წოწოლა გაუჩოს სრულიად უპრობლემოდ გასცდა. აი, მასზე წლით უფროსი ფრანგი რიშარ გასკე კი ეს უკვე მერამდენედ აიძულეს, ტურნირს ადრეეტაპზევე გამოთიშვოდა.

ლევან კელაურაძე

მაშას დაშა

თითქოს მაშაზე წერა არ გვეყოფოდა, ახლა უკვე დაშა შარაპოვაზეც გვიხდება საუბარი. ეს დაშა მაშას ცხრა წლის ბიძაშვილია და იმ დღეს სოჭში მიმდინარე სათიხნარო ტურნირის ფინალში დამარცხდა. მას წლით უფროსმა კატია ტუგარინოვამ სძლია 6:1, 6:2. მას შემდეგ, რაც მისი ბიძაშვილი უიმბლდონზე გალაზიერდა, დაშა ადგილობრივი ქომაგების ურჩეულეს ფიგურად იქცა — სწორედ ამიტომ იყო, ტუგარინოვასთან შეხლისას მას ნორჩი ყმაწვილების დიდი გუნდი რომ ამხნევებდა, ჰეი, შარა-შარაო. თუმცა უფროსი და ძლიერი მეტოქის მოსარევად თაყვანისმცემელთა ძახილი დაშას არ ეყო.

24 ლელო 16 ტესტში! ახალზელანდიელების მთავარი იარაღი ჯო როკოკოკო ავსტრალიელებზე ბუცებს ილესავს

მსოფლიოს ჩემპიონი რას მიქვია

რაგბი სამხრეთული ნახევრ

წლეულს გამართულ ტესტ-მატჩებში ავსტრალიელები და ახალზელანდიელები მშიერი დათვებივით ეკვეთნენ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის ნაკრებს და მისგან ლუკმა არ დატოვეს, თუმცა, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, მაგრამ ერთმანეთში ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. ინგლისელებმა მათი დანაყრება ვერ შეძლეს, რადგანაც „ვოლაბებიც" და „შავებიც" სულმოუთქმენლად ელიან 3 ერის გათამაშების პირველ მატჩს, დღეს ველინგტონში. აი, ეს კი მართლაც ყველაზე ჯიგრის-ჩამწყვეტი ჯახი იქნება

სამხრეთელმა რაგბის ფანებმა გული კი იჯერეს ინგლისელებზე, რომლებმაც ისტორიაში პირველად წაიღეს მსოფლიოს თასი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, მაგრამ ახლა ერთმანეთთან აქვთ ანგარიში გასასწორებელი.

ახალზელანდიელებს მწარედ ახსოვთ მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრალიელთაგან ნახევარფინალში განცდილი მარცხი, „ვოლაბები" კი ბლედისლოუს თასს მისტირიან, რომელიც „მაორებმა" შარშან, თან მათივე მშობლიური სიდნეიდან წაიბრძანეს. საერთოდ კი ბოლო 9 ბრძოლიდან ხუთში ავსტრალიელებმა იმარჯვეს, ოთხში კი ზელანდიელებმა.

ავსტრალიელთა მწვრთნელი ედი ჯონსი გაჰყვირის, ზელანდიელები რაქში, ჩათვლის მოედანთან წესების დარღვეთით თამაშობენ და ირლანდიელ მსაჯს ალენ როლანდს არ გამოეპაროს, თორემ ერთ ამბავს დავაწევთო. აქეთ არც ზელანდიელები იშურებენ მეზობლების მიმართ „თბილ" სიტყვებს, ასე რომ, ტრადიციების გათვალისწინებით ომი მატჩამდე დაიწყო ძველ მოსისხლე მეზობლებს შორის.

მცოდნეები გვირჩევენ „ვოლაბების" მხრიდან კრის ვაიტეკერს დავაკვირდეთ, რომელმაც ტრავმირებული ჯორჯ გრეგანის პოზიციაზე უნდა ითამაშოს, ზელანდიელთა მხრიდან კი ჯონო გიბსის თამაში იქნება საამო საცქერიო. უინტერესო არც ზელანდიელი კარლოს სპენდრისა და ავსტრალიელი სტივენ ლარქმის დუელი უნდა იყოს, მათ ერთმანეთში ძველი პირადი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი.

ისე, სხვათა შორის, ავსტრალიელები გრეგანის გარდა ტრავმის გამო კი ჯო როფსაც მოისაკლისებენ, მაგრამ მიუხედავად ამ პრობლემისა, ავსტრალიელთა სისუსტეზე ლაპარაკი მიზანშეწონილი არ არის. კუნძულელებს მოკლე მეხსიერება არ უნდა ჰქონდეთ და ალბათ ეხსომებათ, როგორ გამოთიშა შარშან „სუსტმა" ავსტრალიამ მათი ზანზარა გუნდი მსოფლიოს თასისათვის ბრძოლას.

ლადო ფულუკიძე

ახალი ზელანდია: 15 მილს მულიაინა, 14 დაგ ჰოულეტი, 13 ტანა უმაგა (კაპ), 12 დანიელ კარტერი, 11 ჯო როკოკოკო; 10 კარლოს სპენსერი, 9 ჯასტინ მარშალი; 8 ხავიერ რაში, 7 რიჩი მაკქოუ, 6 ჯონო გიბსი, 5 კიტ რობინსონი, 4 კრის ჯეკი, 3 კარლ ჰეიმანი, 2 კევინ მეალამუ, 1 ქიის მიიუსი

სათადარიგოები: 16 ენდრიუ ჰორი, 17 გრეგ სომერვილი, 18 ჯერი კოლინსი, 19 მარტი ჰოლა, 20 ბაირონ კელეჰერი, 21 ნიკ ევანსი, 22 სამი ტუიტუპუ

ავსტრალია: 15 კრის ლათამი, 14 კლაიდ რეთბოუნი, 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ უიტუ, 11 ლოუთ ტუქირი; 10 სტივენ ლარქმი, 9 კრის ვაიტეკერი; 8 დევიდ ლაიონზი, 7 ფილ ვუ, 6 რადიკე სამო, 5 ნათან შარპი (კაპ), 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ბრენდან ქენონი, 1 ბილ იანგი

სათადარიგოები: 16 ჯერემი ჰოლი, 17 მეტ დანინგი, 18 დენ ვიკერმანი, 19 ჯორჯ სმიტი, 20 მეტ ჰენიაკი, 21 მეტ ბერკი, 22 ვენდელ სეილორი

ავი, ცუდი, ლამაზი

აფრიკელები კუნძულებს ვერ ჩაძირავენ

3 ერის გათამაშებაში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან ერთად, მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრკაც მონაწილეობს, მაგრამ სანამ „ვოლაბებს" და „შავებს" ერთმანეთთან ჯახი აქვთ, აფრიკელთათვის მათ არ სცალიათ, ამიტომ „ქურციკები" დროს უქმად არ კარგავენ და წყნარი ოკეანის კუნძულთა ნაკრებს შეესპარინგებიან.

კუნძულელთა ნაკრებში ტონგას, ფიჯისა და სამოას უძლიერესი მორაგბეები არიან თავმოყრილნი და უბრძოლველად არაფერს თმობენ. ავსტრალიელებს და ახალზელანდიელებს მათთან დიდი ომები გადახდათ და კუნძულელებს წაგების მიუხედავად მოედნის ერთი მეტრიც არ დაუთმიათ უბრძოლველად. არც „ქურციკებთან" აპირებენ მხოლოდ თამაშს და ძვლების მტვრევასაც გააჩაღებენ. სხვათა შორის, ეს ზედმეტად კარგად გამოსდით, რისთვისაც რაგბის საერთაშორისო სადისციპლინარო კომისიისგან უკვე გაფრთხილებაც მიიღეს.

შერკინება, მოლი და აუტი კუნძულელთა სუსტ მხარეებს წარმოადგენენ, სამაგიეროდ, ბურთი თუ ჩაიგდეს ხელში, თავბრუდამხვევი სისწრაფით გადადიან შეტევაზე, თამაშის გაშლაც არ ეშლებათ და სწორედ ამას უნდა უფრთხოდნენ ყველაზე მეტად აფრიკელები.

სათამაშო დისციპლინას რაც შეეხება, ამ მხრივ გუნდები ერთმანეს გვანან. კუნძულელები ორ ტესტ-მატჩში 20-ჯერ დაჯარიმდნენ, ქურციკები კი სამ მატჩში 30-ჯერ, ასე რომ, ორივე გუნდს საკმაოდ მაღალი, 10 საშუალო ჯარიმა აქვს თითო შეხვედრაში, მაგრამ უხვი სტანდარტული სიტუაციები აფრიკელებს უფრო აძლევთ ხელს, მათ გუნდში ხომ საჯარიმოების მარჯვედ შემსრულებელი პერსი მონტგომერი ირიცხება.

ლადო ფულუკიძე

კუნძულელები: 15 ნორმან ლიგაირი, 14 სერიელი ბობო, 13 სეილალა მაპუსუა, 12 სერუ რაბენი; 11 სიტივენი სივივატუ, 10 ტანერ ვილი, 9 მოსესე რაულუნი; 8 ხისა კოიამაიბოლე, 7 ალივერეტი დოვივერატა, 6 სიონე ლაუაკი, 5 იფერეიმი რაიუაკა, 4 ინოკე აფეაკი (კაპ), 3 ტევიტა ტაუმუპი, 2 ალეკი ლიუტუი, 1 სოანე ტონგაუიპა

სათადარიგოები: 16 ჯოელი ლოტაჟა, 17 ტაუფა�ო ფილისე, 18 ფილიპო ლევი, 19 ტუ ტამარუა, 20 სტივ სოოიალო, 21 სერემაია ბაი, 22 ბრაიან ლიმა

სამხრეთ აფრიკა: 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერტი, 12 დე ვეტბარი, 11 ჟან დე ვილიდრი; 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ბოლა კონრადი; 8 ჟაკ კრონხე, 7 ეი ჯი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი, 5 გერი ბრიტცი, 4 ბაკიზ ბოთა, 3 ედი ენდრიუსი, 2 ჯონ სმიტი, 1 ოს დუ რანდტი

სათადარიგოები: 16 დენი კოტცი, 17 სი. ჯეი. ვან დერ ლინდე, 18 კვინტონ დევიდსი, 19 პედრი ვანენბერგი, 20 ფიური დიუპრე, 21 ბრენტ რასელი, 22 გეფი დიუტუტი

ფეხბარდი კუნძულელები არავისთვის არიან იოლი მოსახელთებელნი

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს მიადგა

შვიდკაცა ნაკრები რვეულშია

პალმა დე მალიორკაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა შვიდკაცელებმა გუშინ ჯგუფური შეხვედრები ითამაშეს და 2005 წლის მსოფლიოს პირველობის საგზურს ერთ მოგებამდე მიუახლოვდნენ. უკვე ცნობილია რვა ნაკრები, რომელიც შვიდი ლიცენზიისთვის აგრძელებს ბრძოლას. ბორჯღალოსნების გარდა ამ რვაში შევიდნენ: შოტლანდია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და რუსეთი.

ქვეჯგუფში ზაზა ლეჟავას გუნდის უმთავრეს მეტოქედ შოტლანდია მიიჩნეოდა და წესით ყველაზე მეტად მათთან უნდა გასჭირვებოდათ, თუმც ყველაზე ნაკლები სხვაობით 21:19 თავიდანვე აუტსაიდერად ჩათვლილ უკრაინას მოუგეს, შემდეგ შოტლანდია 24:14 დაამარცხეს, ხოლო მოლდოვას 29:5 სძლიეს.

„ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს. ძალიან მობილიზებულები ჩანან და წესით ჰონკონგის საგზურის მოგება არ უნდა გაუჭირდეთ — გვითხრა ევროპული შვიდკაცას ქართველმა შეფმა ზაზა ქასაშვილმა — საამისოდ დარჩენილი სამი თამაშიდან ერთის მოგებაც კმარა. მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე საფრანგეთის ჯგუფში მეორე ადგილზე გასული ირლანდია იქნება. დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილები კი საფრანგეთი — შოტლანდიამ, იტალია — რუსეთმა და პორტუგალია — ესპანეთმა შეადგინეს."

ოთარ მაღლაკელიძე

ბაბრი ჯანელიძის ფოტო

ტურ დე ფრანსი 2004

ლენს არმსტრონგი სულ ერთი წამით ჩამორჩა ივან ბასოს

არმსტრონგმა ფეხი გამოიყო

XII ეტაპი. 16 ივლისი. კასტენსარასინი — ლა მონჟი. 199 კმ	
1 ივან ბასო (იტალია, CSC)	5სთ 35წთ 58წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	+20წმ
3 ანდრეას კლედენი (გერმანია, ტი-მობაილი)	+24წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+33წმ
5 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+50წმ
საერთო ჩათვლა	
1 ტომას ვოკლერი (საფრანგეთი, ბრიშე ლა ბულანჟე)	51სთ 51წთ 7წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	+5წთ 24წმ
3 სანდი საზარი (საფრანგეთი, FDJeux.com)	+5წთ 50წმ
4 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი)	+6წთ 20წმ
5 ანდრეას კლედენი (გერმანია, ტი-მობაილი)	+6წთ 33წმ
6 ივან ბასო (იტალია, CSC)	+6წთ 33წმ

ხუთგზის ჩემპიონმა ლენს არმსტრონგმა პირველივე სამთო ეტაპზე გამოიღო ფეხი და სარეკორდო მეექვსე ტრიუმფისკენ დაძრულმა კარგა გვარიანად მოიტოვა უმთავრესი კონკურენტები.

32 წლის ტეხასელს, მართალია, ეტაპი არ მოუგია, მხოლოდ მეორე გახლდათ, მაგრამ ეტაპის მოგებავერმოგების სხვათათვის ასე საჭირბოროტო საკითხი მას ნაკლებად აღელვებს. მთავარია, მან დიდძალი დრო მოუგო მთავარ მდევრებს, მაგალითად იან ულრიხს, ტაილერ ჰამილტონს, იბან მაიოს და დიდი ნახტომი გააკეთა საერთო ჩათვლაში. დიდი ჩემპიონი ახლა მხოლოდ ტომას ვოკლერს ჩამორჩება. მართალია, ეს ჩამორჩენა მთელ ხუთ წუთს შეადგენს, მაგრამ ვოკლერი ულრიხი არაა, ის მხოლოდ დროებითი ლიდერი გახლავთ, რომელმაც იოლ ვაკე გზებზე მოახერხა დაწინაურება და მთებში მალე ჩაიკარგება საერთო ჩათვლის სიაში.

მაგრამ ამ ერთ ეტაპზე კარგი რბოლა არმსტრონგს არ ამშვიდებს, ჭეშმარიტი ტურ დე ფრანსი ახლა იწყებაო, ამბობს ის და კვლავ და კვლავ ულრიხს ახსენებს — „იანს ჯერ არ დაუმთავრებია. ის ყოველთვის მძიმედ იწყებს და შემდეგ კრეფს სიჩქარეს. იანი იმ ბიჭებს განეკუთვნება, რომლებიც ნაადრევად არ ნებდებიან“.

პელოტონი კი ამ, მე-12 ეტაპიდან შეუყვა პირინეის მთებს და მრბოლთა ერთიანი მონოლითური ჯგროც თანდათან დაიქსაქსა — ყველას ხომ არა აქვს მთებში გაქცეული რჩეულების დევნის თავი. არმსტრონგმა და ივან ბასომ პრაქტიკულად ერთდროულად უწიეს ფინიშს. ეგაა, ხაზი პირველმა ბასომ გადაკვეთა და ეტაპის მოგებისთვის 20-წამიანი ბონუსიც მიიღო.

კოტე ყორშია

ნჰლ რუსეთი არაა

რუსები უმეჯარიოდ და უთავოდ რჩებიან

მსოფლიოს თასის დაწყებამდე ორი თვეც აღარ რჩება, რუსეთის ნაკრების ირგვლივ კი კვლავ დიდი გაუგებრობაა. შემადგენლობის დაზუსტებას ვინ ჩივის, დღითი დღე იხლართება სიტუაცია...

პრობლემამ ჯერ კიდევ მაისში იჩინა თავი, როცა ნაკრებში ვიქტორ ტიხონოვის თავკაცობით თამაშზე რუსი ნჰლ-ელების ნახევარმა თქვა უარი. შემდეგ ტიხონოვი ზინეტულა ბილიალეტდინოვმა შეცვალა და რუსებმა 5 დღის დაგვიანებით დაასახელეს შემადგენლობა, თუმც საქმე ამით არ დამთავრებულა. ივნისის შუა რიცხვებში ნაკრებში თამაში „ტამპას“ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინმა იუარა, ჰოკეისტმა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კლუბის სპლეიოფო ტრიუმფში. ხაბიბულინმა განაცხადა, რომ მისთვის მთავარი მონაწილეობა კი არა, მოგებაა და ვინაიდან რუსეთის ჰოკეის ფედერაციაში დღესაც სრული ქაოსია (ცხადია, მისი აზრით), მას არ სურს, სახელი გაიტეხოს ესოდენ პრესტიჟულ ტურნირზე მხოლოდ მონაწილეობით.

„ჰოკეი ყოველთვის ქვეყნის გაძი იყო, მაგრამ ის ტალახში ამოსვარეს. ისიც საკმარისია, რომ ნაკრები ყოველწლიურად ფლავდება მსოფლიოს ჩემპიონატზე და ეს არ არის შემთხვევითი. ეს სრულიად კანონზომიერი ამბავია. თუ რაიმე არ შეიცვალა, ჩვენი ჰოკეის ყველა წარმატება წარსულში დარჩება“ — თქვა ხაბიბულინმა სპორტ ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამას კიდევ სამი წამყვანი მოთამაშის, მეკარე ევგენი ნაბოკოვის, მცველ დანილ მარკოვისა და ფორვარდ ალექსეი ჟამნოვის დემარში მოჰყვა. მათ მრავალი მიზეზი დაასახელს, დაწყებული იმით, რომ ფედერაციიდან დროზე არ შეატყობინეს და შემადგენლობაში მათი თანხმობის გარეშე შეიყვანეს. ამ ჩამონათვალს კი ფრიად შთამბეჭდავი დასასრული აქვს — რუსეთში მომუშავე მწვრთნელებს სავსებით არ ესმით ნჰლ-ის სპეციფიკა (მოგეხსენებათ, ტურნირი ჩრდილო ამერიკაში გაიმართება). ჟამნოვმა ერთი ამბავიც გაიხსენა: 2000 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე სასტუმროში მოთამაშეებმა თითო კათხა ლუდი შევუკვეთეთ და ამის გამო ერთ-ერთმა მწვრთნელმა გაგვლანძღა, აქ ლუდის სასმელად ხომ არ ჩამოსულხართო. ისიც კი არ იციან, რომ ნჰლ-ში გასახდელში დგას ლუდი და მატჩის შემდეგ ყველას შეუძლია მისი დალევა, თუმც, ცხადია, არავინ ილეშება. რაც შეეხება ბილიალეტდინოვს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ერთხელ ფედერაციის დერეფანში მიდიოდა, მას სტებლინმა (ფედერაციის შეფი) შეასწრო თვალი და უმალ თქვა, ეს იქნება ნაკრების თავკაციო.“

როგორც ხედავთ, ჰოკეისტები კატეგორიულნი არიან და მიაჩნიათ, რომ ყველაფრის თავიდათავი რუსეთის ფედერაციის უსუსურობაა. ოთხივე ჰოკეისტი ერთხმად ითხოვს გენერალური მენეჯერის პოსტზე ცნობილი ჰოკეისტის იგორ ლარიონოვის დანიშვნას. „პროფესორმა“ წლეულს დასრულა კარიერა და იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ნჰლ-ის მოთამაშეთა შორის. „მთავარი ის არის, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ლარიონოვი სრულ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს, ასე კი ფედერაცია კვლავ სირაქლემას პოზიციას დაიკავებს“ — აცხადებენ ჰოკეისტები.

ცხადი, ფედერაციას თავისი არგუმენტები აქვს. ისინი თვლიან, რომ საქმე უკვე დაწყებულია და ახლა კონფლიქტი და ცვლილებები უადგილოა. ისე, ბოლოს და ბოლოს 23-ივე მოთამაშე ხომ არ ამბობს უარს ნაკრებში თამაშზე და შეიძლებოდა, ჩინოვნიკებს აინუნშიც არ ჩაეგდოთ იმ ოთხეულის ლაპარაკი. მათ ნაცვლად სხვებს აიყვანდნენ (აგვისტოს შუა რიცხვებამდე აქვს გუნდს უფლება, ცვლილებები შეიტანოს) და ამით დასრულდებოდა ყველაფერი, მაგრამ... ამ ოთხიდან ორი ხაბიბულინი და ნაბოკოვი მეკარეები არიან, თან ექსტრაკლასის. მათი დარი რუსებს აღარ ჰყავთ, ჰოკეიში კი მეკარის როლი რამდენად მნიშვნელოვანია, ყველამ უწყის. განსაკუთრებით ნაბოკოვის დაკარგვა იქნება საწყენი, რადგან ფედერაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ყაზახ მეკარეს რუსეთის მოქალაქეობა მიეღო და ნაკრებში ეთამაშა...

ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაჭრიან ფედერაციის მამები ამ პრობლემას. თუმც ვინ იცის, იქნება კვლავ ისე დახატონ სიტუაცია, თითქოს ბრალი არაფერში მიუძღვით და განტევების ვაცებად თავკაცი და მოთამაშეები აქციონ.

სამველ ღარიბიანი



რუსი ჰოკეისტები იგორ ლარიონოვის მენეჯერობას მოითხოვენ

ჯონსის ტანჯვა მორჩა

მძლეოსნობის დედოფალი ათენში მიდის

სპანდალებით გაწამებული ამერიკელი სპრინტერი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი, რომელმაც ნერვული სტერსის გამო ბოლო რამდენიმე ასპარეზობა ჩააგდო, როგორც იქნა, ძველ მერიონს დაემსგავსა.

შაბათს 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში მან ოლიმპიური ლიცენზია ვერ მოიპოვა, შემდეგ სიგრძეზე ხტომაში ვერ ივარგა ორშაბათს, მაგრამ ბოლოს ისევ სიგრძეზე ხტომაში გამოიდო თავი და ხუთშაბათს, თავის მეორე ცდაზე 7,11 მეტრი იფრინა, რაც მისი საუკეთესო შედეგია 1998 წლის შემდეგ.

მეორე ადგილზე გასული გრეის აპშოუ ჯონსს მთელი 28 სანტიმეტრით ჩაომრჩა და 6,83 მეტრს დასჯერდა.

„მოტივაციის და სწორი მიდგომის დამსახურებაა — ამბობდა გახარებული მერიონი სტადიონის კომენტატორთან გასაუბრებისას — ძალიან ბევრმა მირჩია, რომ უბრალოდ სიამოვნება მიმეღო ასპარეზობისგან, მეც დავუჯერე, დაძაბულობა უკუვაგდე და ჩემი სიამოვნებისთვის ვირბინე. რა თქმა უნდა, შედეგით აღფრთოვანებული ვარ, მე ხომ ოლიმპიურ ნაკრებში დავბრუნდი. ახლა კი შემიძლია, ათენის ოლიმპიადაზე გავამახვილო ყურადღება.“

მასმედიაზე გამწყრალი ჯონსი ჟურნალისტებს არც გასაუბრება. გასაკვირია არცაა მას შემდეგ, რაც მან გადაიტანა. აშშ-ს ანტისადოპინგო სააგენტო მთელი წლის განმავლობაში ბრალს სდებდა აკრძალული პრეპარატების მიღებაში, მაშინ როცა არც ერთ ტესტს მის სისხლში საეჭვო არაფერი აღმოუჩენია. პრესასაც მეტი რა უნდოდა, წერეს და წერეს ნამდვილი თუ მონაჭორი ამბები და ჯონსმაც ამხელა ზეწოლას ვერ გაუძლო. აგერ, უკვე რამდენიმე ლიცენზია დაკარგა სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებშიც ფავორიტად ითვლებოდა.

ამ კვირის ბოლოს მერიონი 200 მეტრ დისტანციაზე სირბილშიც შეეცდება ათენის საგზურის მოპოვებას.

ლადო ფულუკიძე

REUTERS ელ სეგუნდოდან

კობი შვიდი წლით

კალიფორნიაში, ელ სეგუნდოში დაგეგმილ პრესკონფერენციაზე, ცოლ ვანესასთან და ქალიშვილ ნატალიასთან ერთად გამოცხადდა ნბა-ს ვარსკვლავი კობი ბრაიანტი. მან განაცხადა, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან“ არსად მიდის, იმის მიუხედავად, რომ დათხოვილია მწვრთნელი ფილ ჯეკსონი, ხოლო შაილ ონილი სხვა გუნდში გაცვალეს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ კობისთან უთანხმოება იყო. ბრაიანტმა ახალ, შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ლეიკერსთან“ და ნბა-სთვის სარეკორდო 136 მილიონ დოლარს მიიღებს.

REUTERS ელ სეგუნდოდან

საჩუქარი

უცნაურია, მაგრამ რიშარ ვირანკმა სწორედ ბასტილიის აღების დღეს ივარგა ტურ დე ფრანსზე და მთელი ხუთი წუთით გაუწსრო ყველას. მთის მეფის კოპლებიან მაისურაში გამოწყობილმა ფრანგმა შეჯიბრების მეთერთმეტე დღეს, სენ ფლურ-ფიჟაკის გარბოლვის წინ საჩუქრად ხარი მიიღო.

REUTERS ფოტოდან

REUTERS საკრამენტოდან

მერიონის მზადება

ამერიკაში გრძელდება ოლიმპიური გუნდის შესარჩევი შეჯიბრებები. არ ვიცით, იღბლიანი იყო, თუ არა მერიონ ჯონსის ეს ნახტომი, მაგრამ დიდი მძლეოსანი რომ გუნდში იქნება, წყალი არ გაუვა.

REUTERS ტრუხილიოდან

ჩან ჩანი

კოპა ამერიკის მეოთხედფინალის წინ ასე ისვენებდა, კოლუმბიის ნაკრები, რომელიც ტრუხილიოში სწორედ წუხელ უნდა შეხვედროდა კოსტარიკელებს. კოლუმბიელებმა ტრუხილიოს ახლოს მდებარე განთქმული არქეოლოგიური ძეგლი ჩან ჩანი მოინახულეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 26 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge